# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 15 დეკემბერი 2006 №290 (2912) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## შოთი Co

### არველაძემ სევილია დუბლით მოილია



AFP სურათიდან

## სანტა უეფა

### დღეს ნიონში საახალწლო საჩუქრებს ჩამოარიგებენ



დღეს ნიონში ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისა და უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის წილისყრა გაიმართება.

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასული 16 გუნდის დაწყვილების ცერემონია ჩვენი დროით სამ საათზე დაიწყება, ამის მერე კი უეფას თასის მონაწილეებს დააწყვილებენ. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფებში პირველ ადგილებზე გასულები მეორე ადგილებზე გასულებს შეხვდებიან, ოღონდ ერთი ქვეყნის კლუბები ერთმანეთს არ დაეჯახებიან.

უეფას თასის ჯგუფური ეტაპის პირველადგილოსნებს მესამეადგილოსნებთან მოუწევთ შეხვედრა და პირველ მატჩებს სტუმრად გამართავენ, ხოლო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფებში მესამე ადგილზე გასული გუნდები უეფას თასის მეორეადგილოსნებს შეხვდებიან და პირველ მატჩებს შინ გამართავენ.



## ხელმოწერამდე დარჩენილია... არც არაფერი

### რუსთავის ოლიმპმა რევაზ ძოძუაშვილს ჩემპიონთა ლიგა უხსენა

## ჩოგბურთის ყველაზე მშვიდი დედოფალი პენსიაზე გადის



ლინდსი დევენპორტი ჩოგბურთიდან მიდის. 1998 წლის ამერიკის ღია პირველობის, 1999 წლის უიმბლდონისა და 2000 წლის ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებული და მისი მეუღლე ჯონათან ლიჩი ბავშვს ელიან. ამიტომაც გადაწყვიტა 30 წლის სპორტსმენმა, ჩოგანი შალითაში სამუდამოდ გაახვიოს.

სამი სლემტურნირის გარდა დევენპორტმა ერთეულთა 48 და წყვილთა 36 ტიტული მოიგო და 1996 წელს ატლანტის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი მოიპოვა.

ოთხჯერ — 1998, 2001, 2004-05 წლებში დევენპორტმა სეზონი მსოფლიოს პირველი ჩოგნის`რანგში დაასრულა და ალბათ მეტსაც მიაღწევდა, რომ არა ხშირი ტრავმიანობა.

# ჩვენ გვინდა... ჩემპიონთა ლიგა!

## ოლიმპმა ძოძუაშვილს ზე-მიზანი გააცნო

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ლიდერი რუსთავის „ოლიმპი“ უმწვრთნელოდაა. გუშინდელ „სარბიელში“ გაცნობეთ, რომ გიორგი კიკნაძე და რუსთავული კლუბის ხელმძღვანელობა ვეღარ შეთანხმდნენ და ახალგაზრდა მწვრთნელმა კლუბი დატოვა. რუსთაველთა მწვრთნელობის კანდიდატთა შორის რევაზ ძოძუაშვილი, ოთარ კორღალიძე და სოსო ფრუიძე დასახელდნენ, თუმც მათგან ყველაზე რეალურ ვარიანტად თავიდანვე რევაზ ძოძუაშვილი ითვლებოდა და ჩანს, ამ საქმეს წინ ვეღარაფერი დაუდგება...



ბადრი კეთილაძის ფოტო

## რუსთავი ქუთაისს პროგრამით უგებს

დეტალების დასაზუსტებლად გუშინ *რევაზ ძოძუაშვილს* ტელეფონით შევეხმიანეთ...

„ახლა ვერაფერს გეტყვით, „ოლიმპის“ ხელმძღვანელობასთან ერთად „თბილისი მარიოტში“ ვსხედვართ და მომავალ თანამშრომლობაზე ვსაუბრობთ. შეგიძლიათ, მოგვიანებით დამიკავშირდეთ“ — გვითხრა მან.

მოგვიანებით დაკავშირებას რა აზრი ჰქონდა, პირდაპირ „თბილისი მარიოტში“ მივედით და ძოძუაშვილმაც რამდენიმე წუთი დაგვითმო...

— შეგვიძლია უკვე ვთქვათ, რომ „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელი ხართ?

— არა. რაღაც დეტალები კიდევ დასაზუსტებელია.

— კონკრეტულად?

— კლუბის ხელმძღვანელობის მიზანი ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებაა, რომელიც სერიოზული მიზნებისთვის იბრძოლებს. მათი აზრი და ჩემი ფიქრები ერთმანეთს დაემთხვა. დროა, საქართველოში შეიქმნას ისეთი გუნდი, რომელიც ევროსარბიელზე თავის სიტყვას იტყვის. ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს მოენატრათ ისეთი გუნდის ნახვა, რომელიც ევროგრანდებთან ღირსეულ თამაშს შეძლებს. კლუბის ხელმძღვანელობის მიზანია, გუნდი ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანოს და თანამშრომლობა ამიტომ შემომთავაზა. ამაზე ყოველთვის ვფიქრობდი. მინდა, სანამ ჩემი სამწვრთნელო მარაგი არ ამოწურულა, ისეთი გუნდი გავწვრთნა, რომელიც სურვილის ასრულებაში დამეხმარება. ერთი სიტყვით, მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ალბათ ყველაფერი ორ-სამ დღეში გადაწყდება.

— სადღეისოდ რა სტადიაშია მოლაპარაკება?

— ერთადერთი ხელის შემშლელი მიზეზი ის არის, რომ ამჟამად „ტორპედოს“ მწვრთნელი ვარ. „ტორპედოში“ კი, მოგეხსენებათ, ახალი პატრონი მოვიდა. ჯერ არ ვიცით, რა მიზნები ამოძრავებს ახალ ხელმძღვანელობას. თუ მათი მიზანიც იგივე იქნება, რაც „ოლიმპს“ აქვს და საამისო სახსრებს და ძალებს გამონახავენ, მაშინ შეიძლება, ქუთაისში დავრჩე. ჩვენ ამ თემაზეც ვისაუბრეთ და აღვნიშნეთ, რომ რუსთავის ხარჯზე სულაც არ გვინდა ქუთაისში ფეხბურთი მოვკლათ. ორივე მხარემ უპირველესად ქართულ ფეხბურთზე უნდა ვიფიქროთ. რამდენადაც ვიცი, საუბარი „ოლიმპის“ და „ტორპედოს“ ხელმძღვანელებს შორისაც უნდა შედგეს. თუ ქუთაისელებს საჩემპიონო და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის ამბიცია არ ექნებათ, მირჩევნია, იმ გუნდში ვიმუშაო, სადაც ამის ამბიცია არსებობს.

— თქვენ გჯერათ, რომ დღევანდელ „ოლიმპს“ აქვს იმის შესაძლებლობა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშოს?

— იმ პროგრამით, რაზეც რუსთავული კლუბის ხელმძღვანელობა საუბრობს, ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი სულაც არ არის და უკვე მოვიდა დრო, ეს მოხდეს.

რევაზ ძოძუაშვილთან საუბრის შემდეგ ალბათ იოლი მისახვედრია, რომ რუსთავულ კლუბს სათავეში სწორედ ის ჩაუდგება. ძნელი წარმოსადგენია, „ტორპედოში“ მოსულმა ახალმა ხელმძღვანელობამ ნახევარ წელიწადში ისეთი გუნდის გაკეთება მოინდომოს, რომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის პრეტენზია ჰქონდეს.

მოკლედ, ჯერაც „ტორპედოს“ მწვრთნელთა საბჭოს ხელმძღვანელი ალბათ მშობლიურ ქუთაისს დატოვებს და მისთვის კარგად ნაცნობ რუსთავში გადაბარგდება. შეგახსენებთ: ძოძუაშვილი რუსთავის „მეტალურგში“ 1994-97 წლებში მთავარ მწვრთნელად და კონსულტანტად მუშაობდა.

ძოძუაშვილის რუსთავულ კლუბში გადასვლას ალბათ ფეხბურთელთა მიდი-მოდიც მოჰყვება. ჩემპიონატის ლიდერმა უკვე დააყენა შვიდი მოთამაშე ტრანსფერზე, თუმც უმეტესად ისინი, შემადგენლობაში მოხვედრა რომ უჭირდათ. კულუარული ინფორმაციით კი, „ოლიმპს“ ტორპედოელი დავით გამეზარდაშვილი და ბოლნისელი დავით ჭიჭვეიშვილი შეუერთდებიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მჭედლიძე ასაკს და კონტრაქტს ელის

## იტალიელები ქართველზე ფიფასაც ელაპარაკებიან



ბადრი კეთილაძის ფოტო

ცოტაც და, ლევან მჭედლიძე (№5) „ემპოლის“ ნამდვილი წევრი იქნება

**ორი თვის** წინანდელ ევროშესარჩევ ციკლში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში რამდენიმე ნიჭიერი ჭაბუკი მოგხვდებოდათ თვალში — მათ შორის ტანმაღალი ფორვარდი ლევან მჭედლიძეც, რომელიც გეცოდინებათ, იტალიურ „ემპოლიშია“, ოღონდ ჯერ პროფესიულ კონტრაქტი არ გაუფორმებია.

რა სტადიაშია ლევანის ემპოლური საქმე, ამაზე მის მამას, ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკის“ პრეზიდენტ კარლო მჭედლიძეს ვესაუბრეთ...

„უკეთეს ვარიანტში, ლევანს იანვარში გაუფორმებენ კონტრაქტს. თუ ასე არ მოხდა, მაშინ მაისში. ლევანი მარტში ხდება 17 წლის, ხოლო ოფიციალურად, არაევროკავშირელებზე 18 წლამდე არ შეიძლება კონტრაქტის გაფორმება, თუმცა ამის პრეცედენტებიც არსებობს. „ემპოლი“ ყველანაირად ცდილობს ამის მოგვარებას — ფიფას ხუთჯერ გაუგზავნეს წერილი. ფიფაც გარკვეულ შენიშვნებს აძლევს ხოლმე. ძალიან რთულია 16 წლის არაევროკავშირელ ფეხბურთელთან მალე გააფორმო კონტრაქტი. ბევრი პროცედურაა გასავლელი“.

მაისიდან მოყოლებული ლევან მჭედლიძე „ემპოლის“ ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს, ამჟამად კი ორიოდ დღით თბილისშია ჩამოსული ძმასთან, 22 წლის გიორგისთან ერთად. გეცოდინებათ, გიორგიც „ემპოლის“ ეკუთვნის იგი იტალიის ერთ-ერთ ქვედასერიელ „პონტევედრაშია“ განათხოვრებული.

**ილია ნანობაშვილი**

# უეფას თასი

## ჯგუფური ეტაპი. IV ტური

### A ჯგუფი

**ოსერი 0:1 ლივორნო**

0:1 კ. ლუკარელი (59)

**რეინჯერსი 1:0 პარტიზანი**

1:0 პატონი (55)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 10 |
| მაკაბი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ლივორნო | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| ოსერი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| პარტიზანი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |

### B ჯგუფი

**ლევერკუზენი 2:1 ბეშიქთაში**

1:0 შნაიდერი (77), 2:0 ბარბარესი (86), 2:1 რიკარდინიო (90)

**ტოტენჰემი 3:1 დინამო**

1:0 ბერბატოვი (16), 2:0, 3:0 დეფო (39, 50), 3:1 მენდი (90)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტოტენჰემი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 12 |
| დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| ლევერკუზენი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ბეშიქთაში | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | 3 |
| ბრიუგე | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | 2 |

### C ჯგუფი

**ბრაგა 2:0 გრასჰოპერი**

1:0 პინტუ (61), 2:0 კაშტანეირა (90)

**სევილია 1:2 ალკმაარი**

1:0 ჩევანტონი (52პ), 1:1, 1:2 არველაძე (62, 90)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალკმაარი | 4 | 3 | 1 | 0 | 12:5 | 10 |
| სევილია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:2 | 7 |
| ბრაგა | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ლიბერეცი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | 5 |
| გრასჰოპერი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:15 | 0 |

### D ჯგუფი

**პარმა 0:3 ოსასუნა**

0:1, 0:2 დ. ლოპესი (33, 44), 0:3 ხუანფრანი (82)

**ჰერენვენი 1:0 ლანსი**

1:0 ალვეში (90)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარმა | 4 | 3 | 0 | 1 | 6:6 | 9 |
| ოსასუნა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| ოდენსე | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| ლანსი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| ჰერენვენი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |

# მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 2006

## იაპონია. 10-17 დეკემბერი

**ნახევარფინალი**

ამერიკა (მექსიკა) 0:4 ბარსელონა (ესპანეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუბერნატორი კახეთს პირველ ლიგაში ხედავს

## გია ნაცვლიშვილი: სადისციპლინო კომიტეტი უნდა შეიცვალოს!

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ყოფილი პარლამენტარი, ამჟამად კი კახეთის გუბერნატორი გია ნაცვლიშვილი ქართულ ფეხბურთში და სპორტში, ასე ვთქვათ, შინაური კაცია. კახეთის გუბერნატორს და მმართველი პარტიის წევრს თელავის „კახეთის“ გარდა სხვაზეც ვესაუბრეთ — მას ჯერ ქართულ ფეხბურთში არსებულ საერთო სიტუაციაზე ვთხოვეთ აზრის გამოთქმა...


გურამ [illegible] ფოტო

— ეროვნულ ნაკრებთან დაკავშირებით, საქმე ნორმალურად მიდის, გუნდს ერთიანობა ეტყობა, ეროვნული ჩემპიონატი კი სასურველ დონეზე ვერ არის — კვლავ აქტუალურია მსაჯობის, პრობლემა და ვფიქრობ, უნდა შეიცვალოს სადისციპლინო კომიტეტის შემადგენლობა. რაც „გურია“ — „მესხეთის“ მატჩში მოხდა, ამის გამო ძალიან ბევრი ფეხბურიდან უნდა მოეკვეთათ, ეს ხომ ეროვნული ჩემპიონატია და არა უბანი და ქუჩა. საერთოდ, სადისციპლინო კომიტეტის მიერ გამოტანილი სასჯელები სასაცილოა, სამარცხვინო თუ არა. ვფიქრობ, სადისციპლინო კომიტეტი კარგად ვერ ხედავს, თუ რა ძვრებია ბოლო დროს ფეხბურთის ფედერაციაში და პროფლიგაში.

**— შარშან გამართულ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებში ხელისუფლება, ასე თუ ისე, ჩაბმული იყო და მისმა ფავორიტმა კანდიდატმა გაიმარჯვა — ხელისუფლება გაისად გასამართ ფედერაციის არჩევნებშიც ჩაებმება თუ ამ პროცესისგან განზე დარჩება?**

— საქართველოს ხელისუფლება ფეხბურთში რომ არ იყოს ჩაბმული, ნაკრებს ასეთი მწვრთნელი ვერ ეყოლებოდა და არც მოედნების აშენების პროგრამა იარსებებდა. რაც შეეხება საგაისო არჩევნებს, მანამდე კიდევ ბევრი დროა და, როცა არჩევნები კარს მოგვადგება, ამაზე მაშინ ვისაუბროთ. ისე, ფედერაციის პრეზიდენტს ხელისუფლება ფედერაციის სუბიექტებს ძალით ვერ აარჩევინებს...

**— მმართველ პარტიაში ერთიანი პოზიციაა ფედერაციაში მიმდინარე პროცესებზე? კულუარებში ამბობენ, რომ არსებობს განსხვავებული აზრიც...**

— ამის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მაქვს.

**— თქვენი რეგიონის გუნდი კი ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის აუტსაიდერია...**

— არ ვარ იმის მომხრე, გუნდმა იმ ლიგაში ითამაშოს, რისი პოტენციალიც არ გააჩნია. მოკლედ, ვიმსჯელებთ იმაზე, თუ რა უნდა მოხდეს თელავის „კახეთში“.

**— ეს იმას ნიშნავს, რომ „კახეთი“ ამ ეტაპზე ახალი ფეხბურთელებით არ გაძლიერდება?**

— მხოლოდ მოწვეული ფეხბურთელებით გუნდს წინსვლა ვერ ექნება, თელავის „თბილისის“ შექმნას აზრი არ აქვს.

**— ბოლნისის „სიონი“ მეტწილად მიწვეული ფეხბურთელებით გახდა საქართველოს ჩემპიონი და ევროტურნირზე უფრო შეძლებულ გუნდს, აზერბაიჯანის ჩემპიონ „ბაკისაც“ მოუგო...**

— კახეთი ბოლნისისგან განსხვავებული რეგიონია, აქ ფეხბურთის გარდა სპორტის სხვა სახეობებიცაა წამოწეული. კახეთს ჰყავს ოთხი დიდოსტატი ქალი ჭადრაკში, განვითარებულია ჭიდაობა და ძიუდო — ამ სახეობებში კახეთის წარმომადგენლებს საერთაშორისო დონეზე შეუძლიათ გამოსვლა. მე ფეხბურთის ქომაგი ვარ და ალბათ გახსოვთ, პირველ ლიგაში ადრე „საგარეჯო“ რომ თამაშობდა, იმ გუნდს ვმესვეურობდი — „საგარეჯოში“ „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელები თამაშობდნენ, მაგრამ იმ პროექტმა არ გაამართლა. ახლა საგარეჯოს რაიონს რეგიონულ ლიგაში ჰყავს გუნდი და „გარეჯის“ მატჩებზე ბევრი გულშემატკივარი დადის, რადგან ამ გუნდის ფეხბურთელთა ოთხმოცი პროცენტი ადგილობრივია.

**— ფეხბურთისთვის და სპორტისთვის კახეთში უახლოეს პერიოდში რა გაკეთდება?**

— ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტით კახეთში კიდევ ათი მინი-მოედანი მოეწყობა, შენდება საცურაო აუზი თელავში, ლაგოდეხში დიდი სპორტული კომპლექსი აშენდება... კერძო ინვესტიციებით შენდება კრივის დარბაზები, ახმეტაში ზვიადაურის დარბაზი „აიგება...

**— გასაგებია, მაგრამ კონკრეტულად შეგიძლიათ გვითხრათ, რა ელის თელავის „კახეთს“ ამ ეტაპზე?**

— გუნდი არსებობას გააგრძელებს, მაგრამ ალბათ პირველ ლიგაში. მხოლოდ სამი-ოთხი მოწვეული ფეხბურთელით გუნდის გაძლიერება კარგია, მაგრამ ამ ეტაპზე ამისთვის გაღებული თანხა გადაყრილი ფული იქნება.

**დავით თავართქილაძე**




# დავით მუჯირი ორ მილიონად

**დავით მუჯირს** გასულ პრემიერლიგაში სრულად არ უთამაშია, კარგა ხანი ტრავმის გამო გაუცდა, თუმცა სამარის „კრილიას“ გულშემატკივრებმა იგი გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

ეს უკვე ჩავლილია, გუშინ კი საინტერესო ამბავს მივაგენით ერთ-ერთ რუსულ გამოცემაში, სადაც მუჯირს ძალიან აქებენ და სატრანსფერო ბაზარზე ყველაზე წარმატებულ ნაბიჯად თვლიან.

„სამარელები მეათე ადგილზე გავიდნენ, თუმცა ამის მიუხედავად, კლუბმა წარმატებული სელექცია აწარმოა. მაგალითად მოვიყვანოთ ქართველი დავით მუჯირი, რომელიც „კრილიამ“ 200 ათას ევროდ შეიძინა, დღეს კი იგი, სულ მცირე, ათჯერ ძვირი ღირს“ — წერენ რუსები.

**ილია ნანობაშვილი**

# ექიმებმა ხიზანიშვილს კვირები გამოუთვალეს

საზარდული ფეხბურთელისთვის ძალიან საფრთხილო ორგანოა და ბლექბერნელ ზურაბ ხიზანიშვილსაც საზარდულების ტრავმამ ზაფხულიდან შეუტია. საზარდულის ტკივილის გამო ზურამ ვერ ითამაშა სანაკრებო მატჩი ფარერებთან და ტრავმამ ინგლისურ პრემიერლიგაშიც შეუშალა ხელი — რამდენიმე მატჩი ხიზანიშვილმა ტკივილით ითამაშა. ხიზანიშვილი ახლაც უქმადაა და ამადაც შევეხმიანეთ ინგლისში...



**— ოთხშაბათს უეფას თასის მატჩში „ნანსთან“ განაცხადშიც არ იყავი — გამოჯანმრთელებამდე ბევრი გიკლია?**

— უკეთესად ვარ, პრემიერლიგის უახლოეს ტურში ჩემი თამაში გამორიცხულია, მომდევნო მატჩი კი ლონდონის „არსენალთან“ გვაქვს და შესაძლოა, ვითამაშო. მომავალ კვირაში ალბათ გუნდთან ერთად ვარჯიშს სრული დატვირთვით განვაახლებ.

**— ზაფხულში განსაკუთრებით მარცხენა საზარდული გაწუხებდა — ახლაც ასეა?**

— არა, ახლა მარჯვენა საზარდული მაწუხებს. ექიმებმა მითხრეს, ეს ტრავმა დიდი დატვირთვების ბრალიაო. ორი-სამი მატჩის გარდა, სეზონში თამაში არ გამომიტოვებია და, როგორც ჩანს, სრულად ამის გამო ვერ გამოვჯანმრთელდი. ახლა „ბლექბერნის“ ფიზმომზადების მწვრთნელის მეთვალყურეობით ვვარჯიშობ მსუბუქად, თუმც ბურთთან ერთად.

**— ექიმები გაიმედებენ, რომ ტრავმა უოპერაციოდ მოგირჩება?**

— ნემსებით ვიმკურნალე, რამაც კარგი შედეგი მომცა და მგონი, უოპერაციოდ მეშველება.

**— მაინც რა გჭირს საზარდულზე, რა ჰქვია ამ დაავადებას?**

— საზარდულის მილია დაზიანებული. მასზე მკურნალობას სამი კვირა სჭირდება და ორი კვირა უკვე გავიდა — ექიმების გამოთვლით, მომავალ კვირას უკვე კარგად უნდა ვიყო.

**დავით თავართქილაძე**



კონკურენტებთან ყველაზე უკეთ „ვიტ ჯორჯიამ“ ითამაშა

# გაცხრილული შვიდეული

**მეთვრამეტე** ეროვნული ჩემპიონატის პირველმა წრემ ხუთი ისეთი გუნდი გამოკვეთა — „ოლიმპი“, „ვიტ ჯორჯია“, „ამერი“, „ზესტაფონი“ და „დინამო“ — საჩემპიონო შანსები მეტ-ნაკლებად თანაბარი რომ აქვთ. ამ ხუთეულს ორი ისეთი გუნდი მისდევს — „ტორპედო“ და „სიონი“ — პირველ წრეში საჩემპიონო თამაში რომ ვერ გვიჩვენეს, მაგრამ ხუთეულის ზოგიერთ წარმომადგენელს ქულები აართვეს და დანარჩენ შვიდეულს მნიშვნელოვნად ალემატებიან.

ჰოდა, ჩვენც ის გამოვცხრილეთ, ზედა შვიდეულის გუნდებმა პირველ წრეში ერთმანეთთან როგორ ითამაშეს და ამ შეხვედრებში ვისთან რამდენი ქულა მოინაგრეს.

ასეთი კალკულაციით ზედა სამეულში ცვლილებები მოხდა — სამივე გუნდმა შეიცვალა ადგილი ჩემპიონატის საპირველწრეო ცხრილთან შედარებით.

ასეთი გამოთვლა იმადაცაა საინტერესო, რომ ჩანს, ვინ უფრო მეტ ქულას აგროვებს კონკურენტებთან და ვინ შედარებით სუსტ მეტოქეებთან...

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | (2) | ვიტ ჯორჯია | 4 | 1 | 1 | 12:10 | 13 |
| 2 | (1) | ოლიმპი | 3 | 2 | 1 | 8:3 | 11 |
| 3 | (4) | ზესტაფონი | 3 | 2 | 1 | 5:3 | 11 |
| 4 | (3) | ამერი | 2 | 3 | 1 | 9:7 | 9 |
| 5 | (5) | დინამო | 2 | 0 | 4 | 3:6 | 6 |
| 6 | (6) | ტორპედო | 1 | 2 | 3 | 1:3 | 5 |
| 7 | (7) | სიონი | 0 | 2 | 4 | 3:9 | 2 |

*ფრჩხილებში მითითებულია გუნდის ადგილი პირველი წრის შემდეგ*

I ტური
სიონი 0:1 ოლიმპი
ტორპედო 0:0 ვიტ ჯორჯია
II ტური
ვიტ ჯორჯია 3:2 სიონი
III ტური
ამერი 2:0 დინამო
ზესტაფონი 0:0 ოლიმპი
IV ტური
ვიტ ჯორჯია 3:0 ზესტაფონი
დინამო 0:1 ტორპედო
V ტური
სიონი 0:1 დინამო
VI ტური
ამერი 1:0 ტორპედო
VII ტური
სიონი 1:1 ამერი
ზესტაფონი 1:0 დინამო
ოლიმპი 4:0 ვიტ ჯორჯია
VIII ტური
ტორპედო 0:0 სიონი
IX ტური
ზესტაფონი 0:0 ამერი
X ტური
დინამო 1:0 ოლიმპი
ტორპედო 0:1 ზესტაფონი
XI ტური
ზესტაფონი 3:0 სიონი
ვიტ ჯორჯია 2:1 დინამო
XII ტური
ამერი 2:2 ოლიმპი
XIII ტური
ოლიმპი 1:0 ტორპედო
ვიტ ჯორჯია 4:3 ამერი

# გიორგი ადამიასკენ ხაზარი დაიძრა

**აზერბაიჯანის** ჩემპიონატის ლიდერი ლენქორანის „ხაზარი“ გიორგი ადამიათი დაინტერესდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან „ნეფთჩის“ ქართველი ფორვარდი აზერბაიჯანში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, „ხაზარი“ კი ყველაზე მდიდარი კლუბია აზერბაიჯანში.

ლენქორანელებმა ამ ზაფხულს ვალერი აბრამიძე სწორედ „ნეფთჩიდან“ გადაიბირეს და ვნახოთ, თუ მისწვდებიან ადამიასაც.

აზერბაიჯანიდან სხვა ამბებიც ისმის ქართველებზე — ლექსო ინწკირველმა და რომან ახალკაცმა, შესაძლოა, „კარვანი“ დატოვონ. ინწკირველს ერთ-ერთი უკრაინული კლუბი სთავაზობს კონტრაქტს, ხოლო ახალკაცს რუსული გუნდის ვარიანტი აქვს.

**ილია ნანოგაშვილი**

# იონანიძემ ზესტაფონი ორი წლით გააგრძელა

**პირველ** წრეში ტემპაკრეფილი „ზესტაფონი“ შუა გზაზე გაჩერებას არ აპირებს, ანუ შემადგენლობის შენარჩუნებას ცდილობს და გაძლიერებაზეც ზრუნავს.

საქმე ისაა, რომ ფეროელთა რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს კონტრაქტი დაუმთავრდა და, სავარაუდოდ, ყველა თუ არა, უმეტესობა ხელშეკრულებას გააგრძელებს.



ერთი, რაც უეჭველი ვიცით: ზურაბ იონანიძემ ორი წლით გააგრძელა კონტრაქტი — ეს მან თავად გვითხრა.

რაც შეეხება დანარჩენებს, ამაზე „ზესტაფონის“ პრესსამსახურის უფროსმა სერგო ფუტკარაძემ გვითხრა:

„კლუბის პოზიცია ასეთია — ყველა ფეხბურთელთან აუცილებლად უნდა გაგრძელდეს თანამშრომლობა. ჯერჯერობით არც ერთ მოთამაშეს „ზესტაფონიდან“ წასვლის სურვილი არ გამოუთქვამს“.

„ზესტაფონს“ ვიტჯორჯიელთა ლიდერის დავით დილმელაშვილის გადაყვანა რომ სურს, ახალი ამბავი არ არის. ფუტკარაძემ დაგვიდასტურა, რომ კლუბს დილმელაშვილის შეძენა ძალიან უნდა, მაგრამ ჯერჯერობით საქმე მხოლოდ სურვილის დონეზეაო.

**ლუკა თალაქვაძე**

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

# ოკონორს დრო და ჭკუა არ ეყო



**24 მარტს** საქართველოს ნაკრებთან ევროშესარჩევ მატჩში შოტლანდიას რამდენიმე დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი არ ეყოლება და ამას მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავდამსხმელი გარი ოკონორიც დაემატა.

ოკონორი ორიოდ თვის წინ გარიცხეს ნაკრებიდან — ლიტვასთან მატჩის წინ შეკრებაზე არ გამოცხადდა და უოლტერ სმიტმაც ჭკუის მოსახმობად დრო მისცა.

როგორც ჩანს, ოკონორს ეს დრო არ ეყო...

— უკვე სამი კვირაა, გარი შოტლანდიაშია, მაგრამ რატომღაც აზრადაც არ მოსვლია, დამკავშირებოდა. ნაკრებში მის დაბრუნებაზე ლაპარაკი ზედმეტია — განუცხადა შოტლანდიის ეროვნული გუნდის თავკაცმა „დეილი რეკორდს“.

შეგახსენებთ, რომ შოტლანდია 9 ქულით ჩვენი ჯგუფის ლიდერია.

**ბახა შალამბერიძე**

# მოსკოვში სიონს ბლატერი და პლატინი ნახავენ

„თანამეგობრობის თასის“ მე-15 გათამაშებას ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი და ლეგენდარული ფრანგი მიშელ პლატინი დაესწრებიან.

ტურნირი 20 იანვარს, რუსული ცეესკას და ყაზახური „აქტობეს“ მატჩით გაიხსნება და ეს პატივცემული სტუმრებიც ამ დღეს ჩავლენ მოსკოვში.

შეგახსენებთ, რომ „თანამეგობრობის თასზე“ ბოლნისის „სიონიც“ ითამაშებს — საქართველოს ჩემპიონმა საბოლოოდ რამდენიმე დღის წინ გადაწყვიტა მოსკოვში ჩასვლა.

**ოთარ მხეიძე**

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ჩატარდა ტურნირ „ახალი წელი ნარკოტიკების გარეშე“-ს ჯგუფური ეტაპის წილისყრა

**A ჯგუფი:** სფფ, სახალხო დამცველი, „ანაბეჭდი“
**B ჯგუფი:** ფან-კლუბი, „სტეპ-რეკორდსი“, „ფორმულა“
**C ჯგუფი:** „აქსისი“, „ელექტროკავშირი“, „ელიტ ელექტრონიქსი“
**D ჯგუფი:** „თელიანი ველი“, „სპორტ-მედია“, საქართველოს ბანკი

**15 დეკემბერი**

17.00 სფფ — სახალხო დამცველი
17.30 „აქსისი“ — „ელექტროკავშირი“
18.00 ფან-კლუბი — „სტეპ-რეკორდსი“
18.30 „თელიანი ველი“ — საქართველოს ბანკი

**16 დეკემბერი**

15.00 სფფ — „ანაბეჭდი“
15.30 ფან-კლუბი — „ფორმულა“
16.00 „ელექტროკავშირი“ — „ელიტ ელექტრონიქსი“
16.30 „სპორტ-მედია“ — საქართველოს ბანკი

**18 დეკემბერი**

ნახევარფინალი

A1 — C1 B1 — D1

**19 დეკემბერი**

ფინალი

# ფულდესლიგა
## გაზი, დენი და ლუდი




| კლუბი | სპონსორი | საქმიანობის სფერო | თანხა |
|---|---|---|---|
| ბაიერნი | დოიჩე ტელეკომი | ტელეკომუნიკაციები | 20 |
| დორტმუნდი | აკციენგეზელშაფტი | მრავალპროფილიანი ჰოლდინგი | 12 |
| ვოლფსბურგი | ფოლკსვაგენი | საავტომობილო კონცერნი | 10 |
| ლევერკუზენი | RWE | ენერგეტიკა | 9 |
| ჰერტა | დოიჩე ბანი | სარკინიზო გადაზიდვები | 8 |
| შალკე | ვიკტორია ფერზიხერუნგი | დაზღვევა | 7 |
| შტუტგარტი | ENBW | ენერგეტიკა | 6 |
| ვერდერი | ბეთენდვინი | საბუქმეიკერო საქმე | 6 |
| ჰამბურგი | FLY EMIRATES | ავიაგადაზიდვები | 5 |
| მიონხენგლადბახი | კუოსერა | ორგტექნიკა | 5 |
| აინტრახტი | ფრაპორტი | უძრავი ქონება | 4 |
| ალემანია | აახენერ მიუნხენერ ფერზიხერუნგი | დაზღვევა | 4 |
| ნიურნბერგი | მისტერ ლეიდი ჯინსი | ტანსაცმელი | 3 |
| ჰანოვერი | TUI | ტურიზმი | 2 |
| მაინცი | DBV-ვინთერთური | დაზღვევა | 2 |
| ბოხუმი | DWS-ინვესტმენტფონდსი | საინვესტიციო ფონდი | 2 |
| კოტბუსი | მითელდოიჩ ენერგი | ენერგეტიკა | 2 |
| არმინია | კრომბახერი | ლუდის წარმოება | 1 |

*თანხა მოცემულია მილიონ ევროებში*

**რა გვეცემათ** თვალში როდესაც ფეხბურთს უცქერთ? რა საკვირველია გოლები, ფინტები, პასები, ფეხბურთელების შეცდომები, მაგრამ იმავდროულად ჩვენს ყურადღებას მოთამაშეთა ჩაცმულობაც იპყრობს. და რა თქმა უნდა, წარწერები მაისურებზე, სპონსორების სახელები. ამაში ბევრი ფირმა მილიონებს იხდის.

აი, მაგალითად, 2006-07 წლების სეზონში ბუნდესლიგის 18 კლუბი ჯამში 108 მილიონ ევროს იღებს. ეს იმ წარწერების საზღაურია, ფეხბურთელებს მკერდს რომ უმშვენებს. დაგვეთანხმებით, შთამბეჭდავი რიცხვია, მაგრამ ვაგლახ, ჩამოუვარდება რიცხვს, რომელიც ინგლისსა და ესპანეთში გამოდის.

მაგრამ ასეა თუ ისე, გერმანელები თავისას ცდილობენ, მითუფრო, რომ 2007 წლის ზაფხულში ბუნდესლიგის ბევრ კლუბს სპონსორული ხელშეკრულების ვადა ეწურება, შესაბამისა, იწყება ხელშეკრულებათა განახლების ან ახალ სპონსორთა ძიების ხანა.

სხვებზე სწრაფად ამ საქმეს თავი „შალკემ“ მოაბა, რაშიც გელზენკირხენის კლუბს ქვეყნის ყოფილმა კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა შეუწყო ხელი. შრიოდერის ხელშეწყობით „შალკე“ დაუკავშირდა რუსულ „გაზპრომს“, რომელიც საზღვარგარეთ გაშლა-გაფართოებაზე მუშაობს და, ბუნებრივია, ასეთ დროს „შალკეს“ სპონსორობა ფრიად აძლევს ხელს.

ერთი სიტყვით, „გაზპრომი“ ლევან კობიაშვილის გუნდს 5 წელიწადში 110 მილიონ [illegible] ხდის. შეადარეთ, ეს [illegible] „შალკეს“ წინა კონტრაქტს „ვიკტორია ფერზიხერუნგთან“, რომელმაც კლუბს 2001-2007 წლებში, წელიწადში 7,5 ევრო გადაუხადა. მერედა, როგორც ირკვევა, „შალკე“ „ვიკტორია ფერზიხერუნგთან“ კონტრაქტს ახლავე გააუქმებს და კობიაშვილისა და მისი თანაგუნდელების მაისურებზე სიტყვა „გაზპრომი“ იანვარშივე დაიწერება.

ყველაზე რთული მდგომარეობა „ლევერკუზენს“ აქვს — ენერგოკომპანია RWE-სთან ადრემოქმედი კონტრაქტის მიხედვით კლუბი წელიწადში 9 მილონ ევროს იღებდა, მაგრამ კონტრაქტი მაშინ დაიდო, როდესაც „ლევერკუზენი“ ჩემპიონთა ლიგაში სტაბილურად და ძლიერად გამოდიოდა, მოკლედ, კლაუს ტოპმიოლერის დროს. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ ასეთივე კონტრაქტის ხელახლა გაფორმება სიმაღლეებიდან ჩამოვარდნილი გუნდისთვის ახლა უკვე მეტად გაძნელდება.

რაც შეეხება ბიელეფილდის „არმინიას“, ამ გუნდს წელიწადში მილიონევროიანი კონტრაქტი ჰქონდა ლუდსახარშ „კრომბახერთან“, რომელსაც, როგორც ჩანს, გააგრძელებს, რადგან „კრომბახერი“ ფულს მაშინ იხდიდა, გუნდი ბუნდესლიგიდან მეორე ბუნდესლიგაში რომ ადი-ჩადიოდა და ახლა რა ღმერთი გაუწყრება.

**პაპუნა ქედია**



# სილვიო ბერლუსკონის ფული კი არა, კაკა უნდა

**იტალიური** „მილანის“ ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ბრაზილიელი გამთამაშებელი კაკა გუნდში დარჩება. მოგეხსენებათ, 24 წლის ფეხბურთელს მადრიდის „რეალი“ არ ეშვება. „სამეფო გუნდის“ პრეზიდენტი რამონ კალდერონი მზადაა, ჯიბეზე გვარიანად გაიკრას ხელი და ბოლოს და ბოლოს, თავისი საარჩევნო დაპირება აასრულოს, ანუ კაკა „სანტიაგუ ბერნაბეუზე“ ჩაიყვანოს.

„რეალის“ პრეზიდენტს არაფერი უთქვამს, ეს ჭორები პრესაში გავრცელდა. კაკას „მილანთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე აქვს და მჯერა, იგი შეთანხმებას პატივს სცემს. გაზეთებში ბევრი რამ იწერება, მაგრამ ყველაფერი მართალი არ არის. ჩვენ ახლა სამომავლო გეგმებს ვაწყობთ. ეს წელი შეიძლება, წარმატებულად ჩაითვალოს. სერია A-ში მეორე ადგილზე გავედით, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში ნახევარფინალამდე მივაღწიეთ. ამჟამად ჩვენი მიზანი ჩემპიონატში ოთხეულში მოხვედრაა, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში რაც შეიძლება, შორს წასვლა. ვიცით, რომ ეს ძნელი იქნება, მაგრამ პრობლემების მიუხედავად, „მილანს“ წარმატების მიღწევა შეუძლია“ — თქვა „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

„მილანის“ პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი: „ჩვენთვის ფული მთავარი არ არის და კაკას გაყიდვა არ გვინდა. არც ანდრეი შევჩენკოს გასხვისება გვსურდა, მაგრამ მან წასვლა თავად გადაწყვიტა და ხელი აღარ შევუშალეთ. ანდრეიმ მეუღლის სურვილიც გაითვალისწინა. კალდერონის ინტერესი და კაკას შესახებ ჭორები არ მაღელვებს, დარწმუნებული ვარ, იგი „მილანში“ დარჩება“.

**კოკი კანდელაკი**

# იგუაინი სამეფო კაცია
## მიჩელი: პატარა ბიჭებს ჩაგრავენ

**„რეალის“** დირექტორატში უთანხმოებაა. ამას წინათ პრეზიდენტ კალდერონთან კონფლიქტის გამო „სამეფო გუნდის“ მმართველი საბჭო ერთ-ერთმა ვიცე-პრეზიდენტმა ხუან მენდოსამ და კალათბურთში პასუხისმგებელმა დირექტორმა ხუან კარლოს სანჩესმა დატოვეს. ოთხშაბათს კი სენიორ კალდერონის სატრანსფერო პოლიტიკით უკმაყოფილება „რეალის“ მეორე გუნდის „რეალ კასტილიას“ მწვრთნელმა, წარსულში სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა მიჩელმა გამოთქვა, იგი დირექტორატის წევრია და სამეფო თეთრების მთავარი გუნდის სარეზერვო კადრებზე პასუხისმგებელი გახლავთ.

„რეალ კასტილიას“ მწვრთნელმა განაცხადა, რომ „ბერნაბეუზე“ ახალგაზრდა არგენტინელების, გონსალო იგუაინის და ფერნანდო გაგოს მიყვანა კლუბის მეორე გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებს მთავარ გუნდში მოხვედრის შესაძლებლობას მოუსპობს. მიჩელის თქმით, ფაბიო კაპელოს „კანტერასადმი“ (სარეზერვო გუნდი) დიდი სიყვარული არც ადრე ეტყობოდა, ახლა კი საბოლოოდ დაამტკიცა, რომ მადრიდელი ახალგაზრდებისთვის თავის გამოჩენის შანსის მიცემას არ აპირებს.

„რივერ პლეიტის“ ექსფეხბურთელი გონსალო იგუიანი რეალელი გუშინ გახდა, როცა პატაგონიურმა გრანდმა „სამეფო კლუბისგან“ ფორვარდის სანაცვლოდ 13 მილიონი ევრო მიიღო. ხელშეკრულების თანახმად, გონსალო „რეალში“ 2006-07 დარჩენილ ნაწილს და კიდევ მომავალი ექვს სეზონს იბურთავებს. თავიდან თითქოს იგუაინი „რეალ კასტილიაში“ უნდა გაეშვათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, არგენტინელი ძირითადი გუნდის წევრი გახდა. იტალიური „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, რადგან მადრიდელებმა იგუაინი იყიდეს, მომავალ სეზონში ბრაზილიელ რობინიოს ტურინის „იუვენტუსში“ გააგზავნიან.




„ბოკა ხუნიორსის“ ფერნანდო გაგო „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 20 მილიონი ევროს ფასად გადაბარგდება და მადრიდში ოფიციალურად, სავარაუდოდ, ორშაბათს წარადგენენ. „გვინდოდა, ფერნანდო „ბოკაში“, კიდევ რამდენიმე თვით დაგვეტოვებინა, მაგრამ ფეხბურთელის სურვილი „რეალში“ გადასვლა იყო და ჩვენც მის თხოვნას ანგარიში გავუწიეთ — რა აზრი აქვს ისეთ მოთამაშესთან თანამშრომლობას, რომელსაც თვალი და ყური გაქცევაზე უჭირავს?“ — თქვა „ბოკა ხუნიორსის“ პრეზიდენტმა მაურისიო მაკრიმ.

**ლადო ხომერიკი**

# ღმერთი ფერგიუსონის კარიერაში
## კამპანია მეშვიდეს ელის



**სერ** ალექს ფერგიუსონი 20 წელიწადია „მანჩესტერ იუნაიტედს“ წვრთნის და ამ ხნის განმავლობაში რაგინდარა უმაღლესი რანგის ჯილდო მოუპოვებია, ოღონდ, სიტყვა მის ხელში გავლილ ვარსკვლავებზე რომ ჩამოუგდეს, ასე თქვა, მათგან მსოფლიო კლასისა მხოლოდ ექვსი იყოო. და გინდათ, აქვე გასეიროთ? დიდი შოტლანდიელი ამ ექვს კაცში დევიდ ბექემს არ ასახელებს... მათთვის ვისაც დაავიწყდა: ფერგიუსონისეულ „იუნაიტედში“ თამაშის დროს დევიდ ბექემმა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვაში მეორე ადგილი მიიღო.

და კიდევ ერთი რამ, ვისთვის მოულოდნელი და ვისთვის მოსალოდნელი: ფერგიუსონი ამბობს, რომ მის ხელში გავლილ მსოფლიო დონის ვარსკვლავთა ექვსეული შესაძლოა ერთი ხნის შემდეგ შვიდეულად გადაკეთდეს, რადგან კრიშტიანუ რონალდუ დღითიდღე უკეთ და უკეთ თამაშობს.

ფერგიუსონი: „მანჩესტერული კარიერის განმავლობაში ღმერთმა რამდენიმე მსოფლიო კლასის ფეხბურთელი მიბოძა. ერთი მათგანი, ეჭვგარეშეა, პიტერ შმეიხელი გახლდათ. მეორე, აშკარად რაიან გიგზი იყო, ერიკ კანტონას კი მესამეობაზე მეტი შეეძლო, ზოგიერთი თვისების გამო ხანდახან გასაკონტროლებელი რომ არ ყოფილიყო. მეოთხე რაიან გიგზია და ვგონებ, ამ კამპანიას მალე რონალდუც შეუერთდება. რონალდუ უძნელეს პოზიციაზე თამაშობს, გარემარბია და კარგია, რომ ბურთით მეტოქეებზე გალაშქრებას არასდროს გაურბის. რონალდუ ორივე ფეხით თანაბრად თამაშობს, ის თამამია და როგორც კი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას დაეჩვევა, ეჭვი არ მეპარება, მსოფლიო კლასის ვარსკვლავი გახდება.

მეხუთე როი კინია, ხოლო მეექვსე „იუნაიტედის“ ყველა თაობის უჭკვიანესი ნახევარმცველი პოლ სქოულზი. ასეთ ხალხთან მუშაობა უდიდესი სიამოვნებაა.

გარდა ამისა, ყოველთვის უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა როდესაც ჩემს „იუნაიტედში“ შოტლანდიელი გამოიჩენდა თავს, მაგალითად, გრემ სუნესი ან კენი დალგლიში“.

**პაპუნა ძიდია**



AFP

# რონალდუს აზრები

**კრიშტიანუ რონალდუს**, რომელსაც წლეულს საუცხოო სეზონი აქვს „მანჩესტერში“, ინგლისური ფეხბურთის წრეგადასული სიხისტე აღიზიანებს.

„ეს ძალიან ფიზიკური თამაშია — თქვა მან — ტექნიკურ ბიჭებს ფეხებს აგლიჯავენ. მსაჯებს ჯარიმის ჩასტვენა დიდად არ უყვართ და ევროპისგან განსხვავებით, ჯაჯგურის გამო თამაშს არ აჩერებენ. ინგლისელებს ჰყავთ ტექნიკური ფეხბურთელები, ოღონდ ცოტა. ალბათ იმიტომ, რომ აქ ფინტებს არავინ გაცლის და მსაჯიც თითქოს მცველის მხარეზეა. სხვაგან თუ მსაჯი ყვითელს ამოიღებდა, აქ უბრალოდ ამბობს: ფრთხილად, შემდეგი ყვითელი იქნება. ამიტომ ჩემნაირი ფეხბურთელისთვის აქ თამაში ძნელია. თუმცა, ბავშვობისას სულ დიდებში ვთამაშობდი და ისე მამტვრევდნენ, რომ თამაშს ველარ ვაგრძელებდი. ამიტომ წაქცევას და წამოდგომას მიჩვეული ვარ. მანჩესტერში რომ ჩამოვედი, მაკრიტიკებდნენ, ხშირად იქცევა და კოტრიალობსო. ამასაც შევეგუე და გადავეჩვიე. მამტვრიონ, როცა ბურთი მაქვს, უნდა გავექცე“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კლოზე: ტკბილი დეშანი მესიამოვნა
## ბუფონმა რომ გაიღვიძა, მიხვდა...



მიროსლავ კლოზე

AFP

**ტურინის** „იუვენტუსის“ პრეზიდენტი ჯოვანი კობოლი ჯილი თავის ფეხბურთელებს შეჰპირდა, რომ გუნდი მომავალ სეზონში უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს. დავიდ ტრეზეგემ, მაურო კამორანეზიმ და ჯანლუიჯი ბუფონმა უკვე რამდენჯერმე განაცხადეს, ჯერ არ გადაგვიწყვეტია, კლუბში დავრჩეთ თუ არაო. ეს „იუვეს“ ამბიციებზე იქნება დამოკიდებული. „ბებერი ქალბატონის“ მმართველმაც, როგორც ჩანს, მათ გასაგონად აღნიშნა, კიდევ უფრო გაძლიერდებით და ტიტულებისთვის ვიბრძოლებთო.

„პირველ რიგში გუნდის ხელმძღვანელებს გვსურს, რომ „იუვენტუსი“ მომავალი სეზონისთვის გაძლიერდეს და უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს. ასეც იქნება და იმედია, ჩვენი ჩემპიონები კლუბში დარჩებიან. ეს ჩემი სურვილია, როგორც „იუვეს“ პრეზიდენტისა და ქომაგის. თუმცა ჯერ ეს სეზონი უნდა ჩავამთავროთ წარმატებით და ფეხბურთელებთან მოლაპარაკებებს მერე დავიწყებთ. ყველანაირად ვეცდებით, ისინი დავიყოლიოთ. საუკეთესო მაგალითები ალესანდრო დელ პიერო და პაველ ნედვედი არიან, რომლებმაც დარჩენა ბევრი ფიქრის გარეშე გადაწყვიტეს.

ერთ დღეს, ბუფონმა გაიღვიძა და მიხვდა, რომ წასვლა არც მას უნდოდა და იმის გარკვევა ისურვა, რას ნიშნავს სერია B-ში თამაში. მერე მას კამორანეზიმ და ტრეზეგემაც მიჰბაძეს. გარწმუნებთ, რომ მომავალი ჩემპიონატი, გაცილებით საინტერესო და დაძაბული იქნება, ვიდრე ამ სეზონის — ჩვენ სკუდეტოსთვის ვიბრძოლებთ“ — თქვა კობოლი ჯილიმ.

ერთ-ერთი ფეხბურთელი, რომლითაც „იუვენტუსი“ შეიძლება გაძლიერდეს, გერმანიის ნაკრებისა და ბრემენის „ვერდერის“ ფორვარდი მიროსლავ კლოზეა. პოლონური წარმოშობის თავდამსხმელს ტურინელთა ინტერესი სიამოვნებს, ეს მან იტალიურ „ტუტოსპორტთან“, საუბარში აღნიშნა.

მიროსლავ კლოზე: „ვერდერის“ ხელმძღვანელობას უკვე ვუთხარი, რომ ძალების სხვა ქვეყანაში მოსინჯვა მსურს. ასე რომ, მომავალ ზაფხულს ალბათ გუნდს გამოვიცვლი. ჯერ მხოლოდ 28 წლის ვარ და მაღალ დონეზე თამაში კიდევ შემიძლია. წავიკითხე „იუვენტუსის“ მწვრთნელის დიდიე დეშანის ჩემს მიმართ გამოთქმული კომპლიმენტები და ძალიან მესიამოვნა. მინდა მას მადლობა გადავუხადო. „იუვენტუსი“ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია და მისი მწვრთნელის ტკბილი სიტყვები ყველას ესიამოვნება. თუმცა „ვერდერთან“ ახალ კონტრაქტზე ან სხვა კლუბში გადასვლაზე საუბარი ჯერ ადრეა. მოლაპარაკებებს ალბათ, იანვარში განვაახლებთ. ახლა მხოლოდ ბუნდესლიგაზე ვფიქრობ“.

„იუვენტუსი“ მომავალ სეზონში სკუდეტოსთვის ალბათ, მართლაც იბრძოლებს, მაგრამ ევროტურნირებზე გუნდი ვერაფრით ვერ ითამაშებს. ბევრმა ფეხბურთელმა შეიძლება, სწორედ ამის გამო თქვას უარი ტურინელთა რიგებში დარჩენაზე, თუმცა კლოზეს ეს არ აშინებს.

მომავალ სეზონში ევროტურნირების გამოტოვება ჩემთვის პრობლემა არ იქნება. ჩემპიონთა ლიგაში თამაში პრიორიტეტული არ არის, თუმცა მნიშვნელოვანია, რა გეგმები ექნება „იუვენტუსს“ სამომავლოდ. ტურინელები ჯერ სერია A-ში უნდა დაბრუნდნენ. ასეთ შემთხვევებში, როცა ფეხბურთელი ახალ გუნდს ირჩევს და მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას აპირებს, ყველაფრის კარგად გათვლა და შეფასებაა საჭირო“ — დასძინა კლოზემ.

**გიორგი ძაძამიძე**

# ალ-ათირი ზიდანს



**ალჟირში** უმაღლესი ხარისხის მედალს ალ-ათირი ეწოდება და მას პრეზიდენტი გადასცემს. ბოლო, ვინც პრეზიდენტ აბდელაზიზ ბუტეფლიკასგან ეს დიდი ჯილდო მიიღო, საფრანგეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ზინედინ ზიდანი გახლდათ — ალჟირული წარმოშობის ვარსკვლავი ისტორიულ სამშობლოში მოგზაურობას განაგრძობს. აღსანიშნავია, რომ ზინედინ ზიდანი ალჟირში 15 წლისა რომ იყო, მას მერე არ ჩასულა.

დაჯილდოვების ცერემონიალზე ზიზუ მუქ ლურჯ კოსტუმსა და შედარებით ღია ჰალსტუხში გახლდათ გამოწყობილი. მას გვერდს დედა მალიკა და მამა სმაილი უმშვენებდნენ. ზიდანების ოჯახი ქვეყნის პრეზიდენტმა პირადად მიიღო და იმ სკამზე დასვა, რომელზეც ჩვეულებისამებრ უმაღლესი დონის სტუმრებს სვამენ ხოლმე.

„ეს სიმბოლური სტუმრობა იყო როგორც ჩემთვის, ასევე ჩემი მშობლებისთვის — თქვა ზიდანმა — ბედნიერი ვარ, ალჟირში რომ ჩამოვედი და ბუტეფლიკამ მიმიღო“.

მართლაც, ზიდანი ალჟირში ორშაბათს ჩავიდა. იგი პირადად ქვეყნის პრეზიდენტს ჰყავდა მიწვეული. სხვადასხვა ღონისძიებათა შორის გახლდათ სტადიონზე მისვლა და 60 ათასი მაყურებლის წინაშე ორი ადგილობრივი გუნდის თამაშში ბურთის შეყვანა.

აეროპორტში, ზიდანის ჩასვლის დროს, საშინელება ხდებოდა. თვითმხილველები ამბობენ, რომ სტუმრის დასახვედრად მისული შრომისა და სოლიდარობის მინისტრი ჯამალ ულდ აბასი პირადი მცველივით იქცეოდა და გავეშებულ ბრბოს უყვიროდა, გამოუშვით გამოატარეთო. საბოლოოდ უსაფრთხოების სამსახურებმა მოახერხეს ზიდანის სამშვიდობოს გაყვანა და პრესა-ტელევიზიის თუ სხვა ჟურნალისტების წინაშე შეჩერების უფლება აღარ მისცეს.

დღეს ზიდანი სამხრეთულ ქალაქ ბეჯაიაში უნდა ჩავიდეს. ეს ის ქალაქია, სადაც მისი მშობლები დაიბადნენ.

**პაპუნა ძიდია**



# რა გიშველოთ, შვილო?

## ტოტის ფირფიტა სექტემბერში დაუკრავს

**წარსულში** დიდმა ვარსკვლავმა და იმავდროულად იტალიის ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომელმა ჯიჯი რივამ ფანებს დაუდასტურა, რომ „რომას“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი აუცილებლად დაუბრუნდება ნაკრებს. შეგახსენებთ, რომ ტოტიმ ნაკრებიდან ფეხი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მოიკვეთა, განაცხადა რა, რომ კლუბსა და ეროვნულ გუნდში ერთდროულად თამაშის საშუალებას ფიზიკური მდგომარეობა აღარ აძლევს — მან 2006 წლის თებერვალში ძლიერ დაიზიანა კოჭი.

„ტოტი და ნაკრების მწვრთნელი რობერტო დონადონი შეთანხმებულები არიან — თქვა რივამ რადიოსთან ინტერვიუში — ისინი ერთიანეთს ორი თვის წინ შეხვდნენ და შეთანხმდნენ, რომ როგორც კი ფეხბურთელი კოჭიდან ფირფიტას ამოიღებს და რაც მთავარია, როგორც კი მწვრთნელი ჩათვლის, რომ დროა, ტოტი ნაკრებს დაუბრუნდება“.

ფანების სამწუხაროდ, ტოტის კოჭში ფირფიტები მომავალ სექტემბრამდე დარჩება.

შემდეგ რივას ანტონიო კასანოს შესახებ ჰკითხეს.

„კასანო იმ შვილს ჰგავს, რომელსაც უნდა ვუშველოთ. მასზე ძნელმა ბავშვობამ იმოქმედა ცუდად. ახლა მას ძნელი დროება უდგას, მაგრამ მწამს, რომ დადგება სხვა დროც, როდესაც მას ისევ ნაკრებში ვიხილავთ“.

შემდეგ, საუბარმა ფაბიო კანავაროსა ჯანლუიჯი ბუფონზე გადაინაცვლა. ადვილი მისახვედრია, რაშიც არის საქმე — კანავარო და ბუფონი წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს ედავებოდნენ ერთმანეთს.

„კანავაროსა და ბუფონს შორის არჩევა ორ შვილს შორის არჩევას ჰგავს. ისინი ორივენი დიდი ფეხბურთელები არიან, მაგრამ კანავაროს საგანგებო კარიერისთვის სხვანაირი დაფასება ერგება. ფაბიო მსოფლიოს ჩემპიონი გუნდის კაპიტანი გახლდათ. ეს, უპირველეს ყოვლისა ჩვენმა, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ უნდა დააფასოს“.

**ბაკუნა ბედია**

# ლიპის არ ემილანება

**მარჩელო ლიპის** ბოლო დროს აქტიურად უკავშირებენ „მილანს“. იტალიური პრესა დიდი ხანია, წერს, კარლო ანჩელოტი „როსონერიში“ უკანასკნელ სეზონს ატარებსო და მისი სავარაუდო შემცვლელების სიაც ცნობილიაო. თუმცა „მილანი“ ისე ცუდად თამაშობს, რომ აპენინური ჟურნალ-გაზეთები უკვე კარლიტოს იანვარშივე გადადგომაზე ალაპარაკდნენ — მას ლიპი შეცვლისო. ჭაღარა ტაქტიკოსმა ეს ვარიანტი გამორიცხა.

„სიმართლე ის არის, რომ ეს ჭორები ტყუილია. აზრი არ შემიცვლია, მომავალ სეზონამდე დასვენებას ვაპირებ და ახლა არც ერთი კლუბის მწვრთნელობა ჩემს გეგმებში არ შედის. მით უმეტეს, რომ იტალიური კლუბებისგან არავითარი წინადადება არ მიმიღია, მხოლოდ უცხოეთიდან მიკავშირდებოდნენ“ — აღნიშნა „სკუადრა აძურას“ ყოფილმა თავკაცმა.



მოგეხსენებათ, ლიპი მუნდიალის მერე უმუშევარია. ამ პერიოდში მან უარყო მექსიკის ნაკრების წინადადება. იგი ასევე დაუკავშირეს ესპანეთის ნაკრებს, „ნაპოლის“, „მანჩესტერსა“ და სხვა გუნდებსაც.

„პრესაში ყველა სახის ჭორები წავიკითხე, მათ შორის, „ნაპოლიზე“, ესპანეთის ნაკრებზე და ასე შემდეგ. უკვე რამდენჯერმე ვთქვი და გავიმეორებ, ყველა წინადადების განხილვისთვის მზად ვარ. მთავარია, გუნდს, რომელსაც ჩავიბარებ, რაღაცის ამბიცია ჰქონდეს“ — დასძინა ლიპიმ.

**გიორგი ბაბაბაძე**

# ჩელინო: გიჟი ვარ?



დავიდ სუაზო არ იყიდება

**„კალიარის“** პრეზიდენტმა მასიმო ჩელინომ პრესასთან საუბარში აღნიშნა, რომ გუნდის ლიდერი დავიდ სუაზო იანვარში არ გაიყიდება. ბოლო წლებში ბრწყინვალედ მოთამაშე ჰონდურასელით ზაფხულშიც ბევრი კლუბი იყო დაინტერესებული, მაგრამ სარდინიელებმა იგი შეინარჩუნეს. ახლა კი სუაზოს მსურველებად „მილანი“ და „ინტერი“ სახელდებიან. ისიც ითქვა, მისი „ნეროაძურიში“ გადასვლა ფაქტობრივად გადაწყდაო.

მასიმო ჩელინო: „იგი ზაფხულში „სევილიას“ არ მივყიდე, როცა 10,7 მილიონ გირვანქას მთავაზობდნენ და რატომ უნდა დავუთმო სუაზო „ინტერს“ ან „მილანს“ 7,1 მილიონ გირვანქად? ფული არ მჭირდება, უკვე საკმარისად მაქვს. შესაბამისად არც ვინმეს გაყიდვა მინდა, პირიქით, ყიდვას ვაპირებ“.

სარდინიელთა პრეზიდენტმა გამორიცხა გუნდის მეორე ლიდერის მაურო ესპოზიტოს გაყიდვაც. სამაგიეროდ, იანვარში „კალიარის“ ალბათ დატოვებს ანტონიო ლანჯელა, რომელიც მთავარი მწვრთნელის პოსტზე ივნისში მისულმა მარკო ჯამპაოლომ აითვალწუნა.

**კოკი კანდელაკი**



# მონტელამ როსელა დაღალა



ვეტერანი ფორვარდი ვინჩენცო მონტელა „რომას“ დატოვებს. ეს, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია და დიდი შანსია, იანვარშივე მოხდეს. თუმცა „სამპდორიას“ ყოფილმა ლიდერმა უარყო ჭორები თითქოს ინგლისურ „ფულემთან“ უკვე შეთანხმებული იყოს.

„ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი, არც ჩემი და არც კლუბის მხრიდან. ამ საკითხზე თავის დროზე ვისაუბრებთ“ — თქვა მონტელამ

**იგი** უკმაყოფილოა იმით, რომ „გლადიატორთა“ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება. დედაქალაქელთა თავკაცი ლუჩანო სპალეტი 4-2-3-1 ტაქტიკით თამაშობს ხოლმე, ხოლო მონტელას სპალეტი, ფრანჩესკო ტოტისა და მირკო ვუჩინიჩის შემდეგ მესამე ფორვარდად მოიაზრებს. შესაბამისად, იგი შეცვლებზეც იშვიათად შედის და წასვლაზე ამის გამო ფიქრობს.

„ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა იანვარში იხსნება და ჯერ კონკრენტულად რამეზე საუბარი ნაადრევია. არ გამოვრიცხავთ, ვინმე გავუშვათ ან დავიმატოთ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მონტელას წასვლა გადაწყეტილია. იგი ჩინებული ფორვარდია და ნამდვილად გამოგვადგება“ — თქვა ცოტა ხნის წინ სპალეტიმ. იტალიურ პრესაში გავრცელდა ჭორები, მონტელა მცირე სათამაშო დროის გამო იმდენად უკმაყოფილოა, რომ სპალეტის წაეჩხუბა კიდეც და ახლა მათ შორის დაძაბული ურთიერთობააო.

ვინჩენცო მონტელა: „მინდა, განვაცხადო, რომ არანაირი კონფლიქტი ჩემსა და მწვრთნელს შორის არ ყოფილა. ჩემი იშვიათი თამაში ტაქტიკური სქემიდან გამომდინარეობს და ამასთან შეგუება მიწევს.“

„გლადიატორთა“ ახალგაზრდა ნახევარმცველმა ალბერტო აკილანიმ კი განაცხადა, რომ მის გუნდს სკუდეტოსთვის ბრძოლა ჯერ კიდევ ძალუძს და „ლაციოსთან“ სამარცხვინო 0:3-ის შემდეგ სპალეტის შეგირდები „ინტერს“ უკვე 7 ქულით ჩამორჩებიან, თუმცა 22 წლის ნიჭიერი ფეხბურთელი ოპტიმისტურადაა განწყობილი. ვთქვათ ისიც, რომ მუხლის ტრავმის გამო, აკილანი საკმაო ხანია, ვერ თამაშობს და გუნდს ალბათ ახალ წლამდე ვერც დაუბრუნდება.

„უსიამოვნო იყო ამ მატჩის მოლოდინი, როცა წინასწარ ვიცოდი, რომ ვერ ვითამაშებდი. მომავალ დერბის უკვე სულმოუთქმელად ველი და მასში თამაში ძალიან მინდა. ეს ყოველთვის საოცარი და სხვებისგან განსხვავებული დაპირისპირებაა. ამჯერად ჩემს თანაგუნდელებს რაღაცამ შეუშალა ხელი და საბოლოოდ წავაგეთ. არადა, ვთვლი, რომ პირველი ტაიმი უკეთ ჩავატარეთ. მიუხედავად მარცხისა, სკუდეტოს მოგების შანსი გვრჩება და ფარ-ხმალი არ უნდა დავყაროთ. არ მჯერა, რომ „ინტერი“ ყველა თამაშს მოიგებს. ადრე თუ გვიან მილანელებს რთული პერიოდი დაუდგებათ და ჩვენც ამით უნდა ვისარგებლოთ. ბოლომდე ბრძოლაა საჭირო. შემდეგი მატჩი „პალერმოსთან“ გვაქვს, რომელიც ძალიან ძლიერი მეტოქეა, მაგრამ ვიცი, მოგება შეგვიძლია და იმედია, ასეც მოხდება. რაც შემეხება მე, თავს უკეთ ვგრძნობ და მსურს, ვარჯიში მალე განვაახლო. მინდორს ალბათ იანვრის ბოლოსთვის დავუბრუნდები“ — აღნიშნა აკილანიმ.

„რომას“ ჩემპიონობის შანსი რომ ჯერ კიდევ აქვს, კლუბის ხელმძღვანელ როსელა სენსისაც სჯერა: „არა მგონია, ჩემპიონის ვინაობა უკვე გარკვეული იყოს. სეზონის დიდი ნაწილი წინ არის და ბევრი მატჩია სათამაშო. ამიერიდან ყველა შეხვედრა მნიშვნელოვანია და მობილიზებულნი უნდა ვიყოთ. ფეხბურთი იმიტომაც არის მიმზიდველი, რომ სიურპრიზებს ყოველთვის უნდა ელოდო.“

სენსიმ კომენტარი მონტელაზეც გააკეთა: „ვინჩენცოს შესახებ ამდენმა კითხვებმა და ჭორებმა დამღალა. მასზე იმდენს ლაპარაკობენ, თითქოს, გუნდში მთავარი ფიგურა იყოს. ზამთრის სატრანსფერო ამბებზე ახლა საუბარს არ ვაპირებ. ეს საკითხი ჯერ სხვა ხელმძღვანელებთან ერთად უნდა გავარჩიო“.

**კოკი კანდელაკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჩემპიონო ცეკვა კბილებში დანით

## არგენტინა

**აპერტურა. ოქროს მატჩი**

**ბოკა ხუნიორსი 1:2 ესტუდიანტესი**

1:0 პალერმო (4), 1:1 სოსა (64), 1:2 პავონე (80)

**ბოკა ხუნიორსი:** ბობადილა, იბარა, კაისი (ფრანსოია 82), დ. დიასი, მ. როდრიგესი, პ. ლედესმა, გაგო, ნ. კარდოზო (მარინო 67), ბაროს შელოტო (ხ. კალვო 56), პალასიო, პალერმო

**მწვრთნელი:** რიკარდო ლა ვოლპე

**ესტუდიანტესი:** ანდუხარი, ანგელერი, ალაიესი, ორტიზი, პ. ალვარესი, ხ. სოსა (საუსედო 87), ბრანია, ვერონი, დ. გაბილანი (ლ. ბენიტესი 53), პავონე, ლუგერსიო (მაჯოლო 70)

**მწვრთნელი:** დიეგო პაბლო სიმეონე

**გაფრთხილება:** ბაროს შელოტო, გაგო, ვერონე, კარდოზო, მარინო

**გაძევება:** ლედესმა (38), ალვარესი (38)

**მსაჯი:** სერხიო პეცოტა

**35 000 მაყურებელი**

**არგენტინის** ჩემპიონი გახდა გუნდი, რომელსაც ტიტული 23 წელიწადია არ მოეგო — პლეი ოფში „ესტუდიანტესმა“ „ბოკა ხუნიორსს“ 2:1 აჯობა. ეს გახლავთ წარსულში ცნობილი ფეხბურთელის დიეგო სიმეონეს პირველი ტიტული მწვრთნელის რანგში. თან, ალსანიშნავია, რომ სიმეონემ მწვრთნელობა ერთი წელიწადიც არ არის რაც დაიწყო, თუმცა მას კიდევ დავუბრუნდებით, მანამდე კი საკუთრივ თამაშის ამბები მოვყვეთ.

„ბოკა“, რომელსაც ზედიზედ მესამედ შეეძლო არგენტინული ტიტულის მოპოვება, მე-4 წუთზევე დაწინაურდა, გოლი მარტინ პალერმომ გაიტანა, მაგრამ შემდეგ ხერ ხოსე სოსამ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო შემდეგ, თამაშის დამთავრებამდე 9 წუთი რომ რჩებოდა, მარიანო პავონემ „ესტუდიანტესის“ გამარჯვების გოლი შეაგდო. საგულისხმოა, რომ ორივე გუნდმა თამაშის მეტი წილი, ანუ 39-ე წუთიდან დასრულებამდე, ათი კაცით ითამაშა. მიზეზი: „ბოკა ხუნიორსის“ თავდამსხმელი პაბლო ლედესმა, ხოლო „ესტუდიანტესს“ მცველი პაბლო ალვარესი გაუძევეს მოედნიდან. შეგახსენებთ, რომ არგენტინის ჩემპიონატს პლეი ოფი იმიტომ დასჭირდა, რომ როგორც „ბოკამ“ ასევე „ესტუდიანტესმა“ 19 თამაშში 44 ქულა მოიპოვეს.

პალერმოს გოლი ასე გავიდა: ზემოხსენებულმა ლედესმამ ბურთი მეტოქის შორეული ძელისკენ ჩააწოდა, სადაც მას ცნობილი ფორვადი შეეგება და ბადეში შეაგდო. ეს გახლდათ პალერომ მე-11 გოლი აწ უკვე დასრულებულ შეჯიბრებაში.

დაწინაურდნენ თუ არა, რიკარდო ლა ვოლპეს შეგირდები დაცვაში ჩადგნენ და ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყეს ფიქრი. შესაბამისად, ინიციატივა „ესტუდიანტესის“ მხარეს გადავიდა, ამ გუნდს კი ნახევარდაცვაში არც მეტი არც ნაკლები ხუან სებასტიან ვერონი ჰყავს და ევროპამოვლილმა ვარსკვლავმა შექმნა კიდეც ბევრი საგოლე მომენტი. მაგალითად, „ბოკას“ მეკარემ ალდო ბობადილამ მარტო პავონეს სამჯერ არ გაატანინა, კიდევ ერთი დარტყმის მოგერიებაში კი ძელმა მიიღო მონაწილეობა. შემდეგ, ვერონის ჩამობზრიალებულ კუთხურს ბობადილა გამოუხტა შეცდომით, მაგრამ ფერნანდო ორტისმა თავით ააცილა, ერთი ხნის შემდეგ კი თავად ვერონმა ვერ აჯობა გოლკიპერს 25 მეტრიდან.

64-ე წუთზე „ესტუდიანტესმა“ როგორც იქნა გაათანაბრა — სოსამ კარიდან 20 მეტრში დანიშნული საჯარიმოდან ბურთი ძელს გადაატარა და კარში ჩააგდო, გამარჯვების გოლი კი, როგორც მოგახსენეთ, საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე გავიდა, როდესაც გრძელმა პასმა „ბოკას“ დაცვა რალაცნაირად შებოჭა, მათ იყოყმანეს და შედეგად ის მიიღეს, რომ პავონემ ბოლოს და ბოლოს თავისი გასატანი გაიტანა, ბურთი ბობადილას თავზე გადაუგდო. თამაშს თან ცხადია სდევდა ჩხუბი ხალხში და გაქაჩვა-გამოქაჩვა მოედანზე — ასეთია არგენტინა.

ზემოთ დაგპირდით, რომ სიმეონეს დავუბრუნდებოდით: არგენტინის ნაკრების ყველაზე მეტკეპიანმა ფეხბურთელმა (106 თამაში, 11 გოლი) ფეხბურთის თამაშს თავი თებერვალში, „რასინგში“ დაანება და ეს გუნდი ცოტახანს წვრთნა, ივნისში კი „ესტუდიანტესმა“ იხმო და როგორც ხედავთ არ შემცდარა. საინტერესოა, რომ ერთხელ სიმეონემ პრესკონფერენციაზე თქვა, სტილით ჩემი თამაში კბილებს შორის დანიანი კაცის მოქმედებას ჰგავდაო და როგორც მიმომხილველები ამბობენ, როგორც მწვრთნელმა „ესტუდიანტესსაც“ იგივე თვისება შესძინა.

დამარცხებულმა რიკარდო ლა ვოლპემ კი განაცხადა, რომ თანამდებობიდან წავა და გუშინ წავიდა კიდეც.

„ვალდებული ვიყავი კლუბის ხელმძღვანელობისთვის გადადგომის შესახებ მემცნო, რადგან ჩემი თავკაცობით გუნდმა მიზანს ვერ მიაღწია“.

ბუენოსაირესულ კლუბში მისვლამდე ლა ვოლპეს მექსიკის ნაკრები ჰყავდა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩაყვანილი, მუნდიალზე იგი მერვედფინალში გავიდა თუმცა ამის გამო თანამდებობა დატოვა და „ბოკა ხუნიორსს“ ჩაუდგა სათავეში. „ბოკაში“ მან არგენტინის წინა ორი ჩემპიონატის მომგები მწვრთნელი ალფიო ბასილე შეცვალა. თავის მხრივ ბასილე გუნდიდან იმიტომ წავიდა, რომ არგენტინის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს.

| 23:45 | 177 | ლანსი-ლიონი | 3.40 | 3.00 | 2.15 | 1.59 | 1.31 | 1.25 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 179 | სტანდარდი-მუსკრონი | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| | | **16 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 180 | ანდერლეხტი-მონსი | 1.15 | 6.00 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.28 |
| 23:00 | 181 | ბევერენი-სტ.ტრუიდენი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 23:00 | 182 | გენკი-ბრიუსელი | 1.30 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 3.05 |
| 23:00 | 183 | გენტი-ვესტერლო | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 23:00 | 184 | ლიერსი-ლოკერენი | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 23:00 | 185 | რუსელარე-ბეერსხოტი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 186 | სერკლი-ბრიუგე | 7.00 | 4.00 | 1.40 | 2.54 | 1.16 | 1.03 |
| 23:30 | 187 | ვარეგემი-შარლერუა | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **16 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 188 | დეხელი-ვაასლანდი | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 23:00 | 189 | ანტვერპენი-დენდერი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 23:00 | 190 | ეუპენი-ტუბიზე | 1.95 | 3.20 | 3.20 | 1.21 | 1.21 | 1.60 |
| 23:00 | 191 | მეხელენი-ვიზეი | 1.55 | 3.60 | 4.80 | 1.08 | 1.17 | 2.05 |
| 23:00 | 192 | ვირტონი-ლომელი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 193 | ტინენი-სტ.ჟილი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 18:00 | 194 | კორტრაიკი-ჰევერლე | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 18:00 | 195 | ოსტენდე-დაინცე | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 18:00 | 196 | რონსე-ვარეგემი | 1.80 | 3.30 | 3.85 | 1.16 | 1.22 | 1.77 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:15 | 197 | პსვ-ჰერაკლესი | 1.10 | 7.00 | 20.00 | 1.00 | 1.04 | 5.18 |
| | | **16 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 199 | დენ ჰააგი-ტილბურგი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 22:30 | 200 | როდა-ვიტესი | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| 23:00 | 202 | სპარტა-ბრედა | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 201 | ალკმაარი-გრონინგენი | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| 15:30 | 203 | ექსელსიორი-აიაქსი | 7.00 | 4.00 | 1.38 | 2.54 | 1.15 | 1.02 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:30 | 205 | ვალვაიკი-ნაიმეგენი | 2.30 | 3.30 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.50 |
| 15:30 | 206 | უტრეხტი-ფეიენოორდი | 2.90 | 3.30 | 2.20 | 1.54 | 1.25 | 1.32 |
| 17:30 | 207 | ტვენტე-ჰერენვენი | 1.70 | 3.50 | 4.50 | 1.14 | 1.23 | 1.96 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 208 | ვენდამი-გრააფსხაპი | 2.55 | 3.20 | 2.35 | 1.41 | 1.22 | 1.35 |
| 23:00 | 209 | კამბური-როზენდალი | 5.50 | 3.60 | 1.52 | 2.17 | 1.19 | 1.06 |
| 23:00 | 210 | დენ ბოსხი-ვენლო | 1.90 | 3.40 | 3.40 | 1.21 | 1.21 | 1.70 |
| 23:00 | 211 | დორდრეხტი-ემენი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 23:00 | 212 | ჰელმონდი-ჰაარლემი | 2.65 | 3.30 | 2.25 | 1.46 | 1.21 | 1.33 |
| 23:00 | 213 | მაასტრიხტი-ვოლენდამი | 2.55 | 3.30 | 2.40 | 1.43 | 1.23 | 1.38 |
| 23:00 | 214 | ალმერე-ეინდჰოვენი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 23:00 | 215 | ტელსტარი-სიტარდი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 23:00 | 216 | ზვოლე-ოსი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 217 | აპელდორნი-იგლსი | 2.40 | 3.30 | 2.55 | 1.38 | 1.23 | 1.43 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **15 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 223 | მარიტიმუ-ბელენენსესი | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| | | **16 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 221 | ბენფიკა-სეტუბალი | 1.20 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.67 |
| 23:45 | 226 | სპორტინგი-აკადემიკა | 1.23 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.09 | 3.42 |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 219 | ამადორა-ავესი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 20:00 | 220 | ბეირა მარი-ნასიონალი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 20:00 | 224 | ნავალი-ლეირია | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 23:15 | 225 | პორტუ-ფერეირა | 1.20 | 5.50 | 13.00 | 1.00 | 1.09 | 3.86 |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 222 | ბრაგა-ბოავისტა | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| | | **პორტუგალია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 227 | ესტორილი-ვარზიმი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 19:00 | 228 | ფეირენსე-პენაფიელი | 2.00 | 3.20 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| 20:00 | 229 | გიმარაეში-გონდომარი | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 20:00 | 230 | ლეიშოეში-მოსკავიდე | 1.80 | 3.20 | 3.85 | 1.15 | 1.22 | 1.74 |
| 20:00 | 231 | პორტიმონენსე-ჟილ ვისენტე | 2.60 | 3.10 | 2.40 | 1.41 | 1.24 | 1.35 |
| 19:30 | 232 | რიუ ავე-ოლიანენსე | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 20:00 | 233 | სანტა კლარა-შავესი | 1.30 | 4.30 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.79 |
| 19:00 | 234 | ტროფენსე-ვიზელა | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **16 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 235 | ატრომიტოსი-არისი | 2.20 | 2.90 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 21:00 | 236 | ირაკლისი-ქსანთი | 2.30 | 2.90 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 21:00 | 242 | ოლიმპიაკოსი-იონიკოსი | 1.10 | 7.00 | 18.00 | 1.00 | 1.03 | 5.03 |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 237 | ეგალეო-ერგოტელისი | 1.70 | 3.20 | 4.90 | 1.11 | 1.26 | 1.93 |
| 17:00 | 238 | ოლიმპია-კალამარია | 1.75 | 3.20 | 4.80 | 1.13 | 1.28 | 1.91 |
| 18:45 | 239 | კერკირა-პანათინაიკოსი | 7.70 | 3.80 | 1.40 | 2.54 | 1.18 | 1.02 |
| 19:00 | 240 | ოფი-პაოკ | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.31 | 1.45 |
| 21:00 | 241 | აეკ-პანიონიოსი | 1.25 | 4.80 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.34 |
| | | **თურქეთი. თასი** | | | | | | |
| | | **15 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 267 | ანკარა-ტრაბზონი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| | | **16 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 269 | გალათასარაი-კაისერი | 1.34 | 4.20 | 7.00 | 1.01 | 1.12 | 2.62 |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 268 | ბეშიქთაში-რიზე | 1.33 | 4.40 | 7.50 | 1.02 | 1.12 | 2.77 |
| | | **ფეხბურთი. აზიური თამაშები 2006 .ყატარი** | | | | | | |
| | | **15 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 439 | ყატარი-ერაყი | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **15 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 402 | კრეფელდი-ფრანკფურტი | 2.15 | 4.20 | 2.20 | 1.42 | 1.08 | 1.44 |
| 22:30 | 403 | დუისბურგი-აუგსბურგი | 2.10 | 4.20 | 2.20 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 22:30 | 404 | აისბარენი-სტრაუბინგი | 1.35 | 4.60 | 5.00 | 1.04 | 1.06 | 2.39 |
| 22:30 | 405 | ნიურნბერგი-ინგოლშტადი | 2.10 | 4.20 | 2.20 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 22:30 | 406 | ჰანოვერი-მანჰაიმი | 2.10 | 4.20 | 2.20 | 1:39 | 1.07 | 1.44 |
| 22:30 | 407 | ჰამბურგი-დიუსელდორფი | 2.10 | 4.20 | 2.20 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| | | **კალათბურთი. საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **16 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 574 | მაკედონიკოსი-აპოლონი | 2.35 | 12.00 | 1.50 | 1.96 | 1.00 | 1.33 |
| 22:00 | 575 | არისი-აელ | 1.07 | 12.00 | 6.10 | 1.00 | 1.00 | 4.04 |
| 19:00 | 576 | აეკ-პაოკ | 2.00 | 12.00 | 1.65 | 1.71 | 1.00 | 1.45 |
| 19:00 | 577 | აეკ-ეგალეო | 1.10 | 12.00 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 3.77 |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 578 | პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი | 2.40 | 12.00 | 1.40 | 2.00 | 1.00 | 1.25 |
| 19:00 | 579 | ოლიმპია-პანელინიოსი | 1.45 | 12.00 | 2.35 | 1.29 | 1.00 | 1.96 |
| 21:00 | 580 | მარუსი-პანათინაიკოსი | 7.00 | 12.00 | 1.07 | 4.42 | 1.00 | 1.00 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15006 | წარლტონი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ნიუკასლი-უოტფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | არსენალი-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | რედინგი-ბლეკბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | უიგანი-შეფილდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | ევერტონი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | სიტი-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | ფულჰემი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15041 | ფოლკირკი-ჰიბერნიანი | 3:00 | 2.80 | 2.00 |
| 15042 | ჰართსი-აბერდინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15043 | ინვერნესი-კილმარნოკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15044 | მოსერუელი-დანდი იუნაიტედი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15045 | სტ.მირენი-დანფერმლაინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15046 | რეინჯერსი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15062 | ბოხუმი-მიონხენგლადბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15063 | ალემანია-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15064 | არმინია-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15066 | კოტბუსი -შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15068 | ჰერტა-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15069 | მაინცი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15071 | ნიურნბერგი-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15072 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15073 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15085 | უდინეზე-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15086 | ფიორენტინა-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15087 | ასკოლი-ტორინო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15089 | კატანია-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15090 | ინტერი-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15092 | ლივორნო-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15093 | პარმა-კიევო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15094 | რეჯინა-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15095 | სიენა-ატალანტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15096 | რომა-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15140 | ატლეტიკო-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15143 | ესპანიოლი-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15145 | დეპორტივო-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15146 | ლევანტე-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15147 | მალიორკა-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15148 | უელვა-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15149 | სოსიედადი-ტარაგონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15151 | ვილიარეალი-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15152 | სარაგოსა-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15164 | ლე მანი-ტულუზა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15165 | მონაკო-სოშო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15167 | ნანსი-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15168 | ნანტი-ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15169 | პსჟ-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15170 | რენი-ტროია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15172 | სედანი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15174 | სტ.ეტიენი-ვალენსიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15176 | ოსერი-ლორიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15177 | ლანსი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16006 | წარლტონი-ლივერპული | 4.00 | 1.15 |
| 16007 | ნიუკასლი-უოტფორდი | 1.15 | 4.10 |
| 16008 | არსენალი-პორტსმუთი | 1.08 | 5.80 |
| 16009 | რედინგი-ბლეკბერნი | 1.35 | 2.75 |
| 16010 | უიგანი-შეფილდი | 1.32 | 2.90 |
| 16011 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 1.56 | 2.20 |
| 16012 | ევერტონი-ჩელსი | 4.80 | 1.12 |
| 16013 | სიტი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 16014 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 5.30 | 1.08 |
| 16016 | ფულჰემი-მიდლსბრო | 1.45 | 2.30 |
| 16041 | ფოლკირკი-ჰიბერნიანი | 1.90 | 1.60 |
| 16042 | ჰართსი-აბერდინი | 1.35 | 2.60 |
| 16043 | ინვერნესი-კილმარნოკი | 1.60 | 1.90 |
| 16044 | მოსერუელი-დანდი იუნაიტედი | 1.45 | 2.30 |
| 16045 | სტ.მირენი-დანფერმლაინი | 1.30 | 2.60 |
| 16046 | რეინჯერსი-სელტიკი | 1.80 | 1.80 |
| 16062 | ბოხუმი-მიონხენგლადბახი | 1.55 | 2.20 |
| 16063 | ალემანია-ჰამბურგი | 1.80 | 1.80 |
| 16064 | არმინია-შალკე | 2.25 | 1.50 |
| 16066 | კოტბუსი -შტუტგარტი | 2.30 | 1.48 |
| 16068 | ჰერტა-აინტრახტი | 1.22 | 3.50 |
| 16069 | მაინცი-ბაიერნი | 4.20 | 1.15 |
| 16071 | ნიურნბერგი-ჰანოვერი | 1.42 | 2.50 |
| 16072 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 1.52 | 2.20 |
| 16073 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1.05 | 6.00 |
| 16085 | უდინეზე-კალიარი | 1.35 | 2.70 |
| 16086 | ფიორენტინა-მილანი | 1.60 | 1.95 |
| 16087 | ასკოლი-ტორინო | 1.90 | 1.70 |
| 16089 | კატანია-ემპოლი | 1.42 | 2.50 |
| 16092 | ლივორნო-ლაციო | 1.75 | 1.90 |
| 16093 | პარმა-კიევო | 1.48 | 2.25 |
| 16094 | რეჯინა-სამპდორია | 1.52 | 2.30 |
| 16095 | სიენა-ატალანტა | 1.55 | 2.20 |
| 16096 | რომა-პალერმო | 1.35 | 2.80 |
| 16140 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.23 | 3.30 |
| 16143 | ესპანიოლი-რეალი | 2.60 | 1.35 |
| 16145 | დეპორტივო-ბილბაო | 1.40 | 2.50 |
| 16146 | ლევანტე-სელტა | 1.75 | 1.85 |
| 16147 | მალიორკა-რასინგი | 1.45 | 2.35 |
| 16148 | უელვა-სევილია | 2.35 | 1.45 |
| 16149 | სოსიედადი-ტარაგონა | 1.35 | 2.75 |
| 16151 | ვილიარეალი-ოსასუნა | 1.27 | 3.20 |
| 16152 | სარაგოსა-ვალენსია | 1.65 | 2.00 |
| 16164 | ლე მანი-ტულუზა | 1.50 | 2.25 |
| 16165 | მონაკო-სოშო | 1.52 | 2.20 |
| 16167 | ნანსი-მარსელი | 1.52 | 2.20 |
| 16168 | ნანტი-ბორდო | 1.80 | 1.80 |
| 16169 | პსჟ-ნიცა | 1.25 | 3.40 |
| 16170 | რენი-ტროია | 1.17 | 3.95 |
| 16172 | სედანი-ლილი | 2.50 | 1.42 |
| 16174 | სტ.ეტიენი-ვალენსიენი | 1.12 | 5.00 |
| 16176 | ოსერი-ლორიანი | 1.35 | 2.80 |
| 16177 | ლანსი-ლიონი | 2.40 | 1.43 |

## გოლი:წყვილი-1ი'უ კენტი-2
## (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17006 | წარლტონი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ნიუკასლი-უოტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | არსენალი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | რედინგი-ბლეკბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | უიგანი-შეფილდი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ევერტონი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | სიტი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17016 | ფულჰემი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17041 | ფოლკირკი-ჰიბერნიანი | 1.85 | 1.95 |
| 17042 | ჰართსი-აბერდინი | 1.85 | 1.95 |
| 17043 | ინვერნესი-კილმარნოკი | 1.85 | 1.95 |
| 17044 | მოსერუელი-დანდი იუნაიტედი | 1.85 | 1.95 |
| 17045 | სტ.მირენი-დანფერმლაინი | 1.85 | 1.95 |
| 17046 | რეინჯერსი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17062 | ბოხუმი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17063 | ალემანია-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17064 | არმინია-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17066 | კოტბუსი -შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17068 | ჰერტა-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17069 | მაინცი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17071 | ნიურნბერგი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17072 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17073 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17085 | უდინეზე-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17086 | ფიორენტინა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17087 | ასკოლი-ტორინო | 1.85 | 1.95 |
| 17089 | კატანია-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17090 | ინტერი-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17092 | ლივორნო-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17093 | პარმა-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17094 | რეჯინა-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17095 | სიენა-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17096 | რომა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17140 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17143 | ესპანიოლი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17145 | დეპორტივო-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17146 | ლევანტე-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17147 | მალიორკა-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17148 | უელვა-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17149 | სოსიედადი-ტარაგონა | 1.85 | 1.95 |
| 17151 | ვილიარეალი-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17152 | სარაგოსა-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17164 | ლე მანი-ტულუზა | 1.85 | 1.95 |
| 17165 | მონაკო-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 17167 | ნანსი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17168 | ნანტი-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17169 | პსჟ-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17170 | რენი-ტროია | 1.85 | 1.95 |
| 17172 | სედანი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17174 | სტ.ეტიენი-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 17176 | ოსერი-ლორიანი | 1.85 | 1.95 |
| 17177 | ლანსი-ლიონი | 1.85 | 1.95 |

ეროვნული ბიბლიოთეკა




# მოდი, ვნახოთ ესპანეთი

## ნიკოლოზ ცქიტიშვილი კვლავაც უგუნდოდაა

ნიკოლოზ ცქიტიშვილი კვლავ გუნდის ძიებაშია — ვლადივოსტოკური „სპარტაკ-პრიმორიეს" ვარიანტი იმის გამო ჩაეშალა, რომ რუსეთის საელჩომ ქართველ კალათბურთელს ვიზა არ მისცა. არადა, ვლადივოსტოკელები რომ სერიოზულად იყვნენ ცქიტიშვილით დაინტერესებულნი, მათი გუბერნატორის შეწუხებიდანაც ჩანს, ვისი ავტორიტეტიც უძლური აღმოჩნდა: „ცქიტომ" რუსული ვიზა მაინც ვერ მიიღო.

ასე და ამგვარად, ცქიტიშვილის სააგენტო „ინტერპერფორმენსმა" ხელახალი სატრანსფერო საქმიანობა გააჩაღა და იერიში ესპანეთზე მიიტანა, თუმც მანამდე იტალიური „რომას" ვარიანტი იყო, მაგრამ ნიკას მწვრთნელის, ვაჟა კვარაცხელიას თქმით, ის ვარიანტი გამოირიცხა:

„რომაული ვარიანტი გამოირიცხა. ახლა ლუჩანო კაპიტიონის სააგენტო, რომლის კლიენტიც ნიკა ახლახან გახდა, ესპანურ კლუბებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. „ვალიადოლიდი", „გრენადა" და „ვალენსია" — „ინტერპერფორმენსი" ახლა ამ კლუბებზე მუშაობს. პირადად მეც მაქვს ჩემი კავშირები ესპანეთში და ცქიტიშვილს ეგებ კლუბიც გამოვუნახო. „კანარია" პრიმერადივიზიონის გუნდია და შესაძლოა, ნიკა იქ გადავიდეს. კანარიელებისგან პასუხს ამ დღეებში ველი".

კვარაცხელიასავე თქმით, ცქიტიშვილი ახლა ამერიკაშია და ფორმის შესანარჩუნებლად ინდივიდუალურად ვარჯიშობს.

**ირაკლი პერტაია**

## ხმა მიეცით ზაზა ფაჩულიას

ნბა-ს ყველა ვარსკვლავის მატჩი მომავალი თებერვლის ბოლოს გაიმართება და მასში თამაშის შანსი „ატლანტა ჰოქსის" ქართველ ცენტრ ზაზა ფაჩულიასაც აქვს. „ოლ სტარის" მონაწილეებს გულშემატკივარი ირჩევს და კანდიდატთა შერჩევა უკვე დაწყებულია ნბა-ს ოფიციალურ ვებგვერდზე — **www.nba.com**

— შედით ამ ვებ-გვერდის იმ განყოფილებაში, სადაც ყველა ვარსკვლავის **(All Star)** მატჩში მონაწილეობის კანდიდატთა სრულ სიას გაეცნობით.

— სულ უნდა აირჩიოთ 10 კალათბურთელი — 5 აღმოსავლეთ კონფერენციიდან და 5 დასავლეთიდან.

— ერთი კომპიუტერიდან დღეში ერთხელ შეგიძლიათ ხმის მიცემა. გამოკითხვა გაგრძელდება 21 იანვრამდე.




## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ეს რა ყოფილა!

## პატ რაილი ნეშის ეშხით მოიხიბლა

13 დეკემბერი

**ნიუ იორკი 94:82 ატლანტა**

**ნიუ იორკი:** მარბერი (13), რიჩარდსონი (8), კროუფორდი (9), ჯეფრისი (15), კარი (20); რობინსონი (13), ლი (7), ჯეიმსი (4), ბალკმენი (3), კოლინსი (2), ბროუზი

**ატლანტა:** აივი (4), კლაქსტონი, სმიტი (8), მ. უილიამსი (23) **ფაჩულია** (27 წუთი, 10 ქულა, 6 მოხსნა, 2 ჩაჭრა); სტუდემაიერი (12), ლუ (10), შ. უილიამსი (5), რაიტი (2), ჯონსი (4), ბოზმანი (2), ფრეი (2)

**ვაშინგტონი 120:91 დენვერი**

**ვაშინგტონი:** არენასი (34), ბატლერი (26 ქულა, 9 ქულა, 7 მოხსნა), ჯემისონი (19)

**დენვერი:** ენტონი (37)

**ინდიანა 101:90 დეტროიტი**

**ინდიანა:** ონილი (26 ქულა, 14 მოხსნა), ტინსლი (21), ჰარინგტონი (16)

**დეტროიტი:** ბილაფსი (22), ჰამილტონი (18), ვოლესი (14)

**კლივლენდი 104:101 შარლოტი**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (22), ვარეჟაო (16 ქულა, 10 მოხსნა), ჰიუზი (16), გუდენი (16)

**შარლოტი:** მორისონი (16), მეი (15 ქულა, 13 მოხსნა), ოკაფორი (14), ვოლესი (14)

**მაიამი 89:99 ფინიქსი**

**მაიამი:** მურნინგი (19), ჰასლემი (14)

**ფინიქსი:** მერიონი (23 ქულა, 13 მოხსნა), ნეში (18 ქულა, 11 პასი)

**ორლანდო 84:91 ტორონტო**

**ორლანდო:** აროიო (22), ჰოვარდი (17 ქულა, 13 მოხსნა)

**ტორონტო:** ბარნანი (23), ფორდი (14)

**ფილადელფია 81:101 ბოსტონი**

**ფილადელფია:** ოლი (14), იგუდალა (12)

**ბოსტონი:** გომესი (18), პირსი (18), ალენი (16), შჩერბიაკი (14)

**ნიუ ჯერსი 108:95 მილუოკი**

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (36), კრსტიჩი (13)

**მილუოკი:** ვილანუევა (23), პატერსონი (16)

**მემფისი 79:85 პორტლენდი**

**მემფისი:** მილერი (20), სტუდემაიერი (15)

**პორტლენდი:** რენდოლფი (21), უდოკა (15)

**სან ანტონიო 95:82 მინესოტა**

**სან ანტონიო:** დანკანი (24), პარკერი (23)

**მინესოტა:** გარნეტი (19), ბუნტი (19)

**ჩიკაგო 99:84 სიეტლი**

**ჩიკაგო:** გორდონი (27), ნოჩიონი (20)

**სიეტლი:** ლუისი (18), უილკინსი (16)

**დალასი 110:101 ლეიკერსი**

**დალასი:** ჰოვარდი (29), ტერი (26), ნოვიცკი (23 ქულა, 14 მოხსნა, 8 პასი)

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (33), უოლტონი (13)

**კლიპერსი 86:105 იუტა**

**კლიპერსი:** ბრენდი (20), კამანი (19)

**იუტა:** ბუზერი (28), უილიამსი (28)




AFP ნიუ იორკიდან

ზაზა ფაჩულია ედი კარის ჩამოცილებას ცდილობს

**ატლანტაში** ალბათ უკვე აღარც ფიქრობენ პლეი ოფზე. კარგა ხნის წინ მიხვდებოდნენ, რამდენად შორეულია ეს ფიქრები რეგულარული ჩემპიონატისგან. ერთი მოთამაშე დაემტვრათ და გუნდმა გუნდის სახე დაკარგა.

ჯო ჯონსონის ტრავმამ „ატლანტა ჰოქსის" მოკლეფეხიანობა გამოაჩინა. სამი თამაშია, „ქორები" ფეხმტკივანი ლიდერის გარეშე ცდილობენ მეტოქეს წინააღმდეგობა გაუწიონ, მაგრამ სულ ამაოდ. მეტოქეებად უძლეველი გუნდები არ ჰყოლიათ, მაგრამ სამივე უიმედოდ დათმეს — 25, 13 და 12 ქულით. მოკლედ, აირია მონასტერი.

„ნიუ იორკთან" „ატლანატს" შანსიც არ მისცემია, მესამე მეოთხედის შემდეგ 16 ქულას აგებდა და მხოლოდ იმიტომ წააგო ოდნავ ნაკლები სხვაობით, რომ მეტოქემ ანგარიშის შერბილების საშუალება მისცა.

„ატლანტას" ჩვენებურმა ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ კიდევ ერთი საშუალო მატჩი ჩაატარა. ის ნიუორკელთა ზორბა ცენტრ ედი კარის მეურვეობდა და არცთუ წარმატებით. კარიმ 20 ქულა მოიხვეჭა და პატრიკ იუინგის შემდეგ პირველი ნიუიორკელი გახდა, ვინც ზედიზედ 10-ზე მეტ თამაშში გააკეთა 20 და მეტი ქულა. კარიმ ეს მიჯრით მეთერთმეტედ შეძლო, იუინგი კი 1994 წელს ზედიზედ 17-ჯერ ასცდა 20-ქულიან ნიშნულს.

სამმაგ დუბლებზე დაგეშილმა „ნიუ ჯერსის" ვეტერანმა გამთამაშებელმა ჯეისონ კიდმა კიდევ ერთი, რიგით მე-80 სამმაგი შესრულა. „მილუოკისთან" კიდი ძალზე ეკონომიურად ირჯებოდა, თითქოს არ უნდა, ზედმეტი გააკეთოსო და მოაგროვა ზუსტად 10 ქულა, 10 მოხსნა და 10 პასი. ქართველი რომ ყოფილიყო, გულში გაგვკრავდა ტოტალიზატორში იღაყვებგაცვეთილი კაცის ფიქრები, ნიძლავი აქვს დადებული, რომ ზუსტად ამდენი გააკეთოსო.

ასაკშეპარული კიდის მხარდამხარ მისმა უმცროსმა თანაგუნდელმა ვინს კარტერმაც გამოიჩინა თავი, თან უფრო ხელგაშლილად — 36 ქულას 9 პასი და 6 მოხსნა მოაყოლა.

სადაც ჯეისონ კიდი ვახსენეთ, იქ მეორე თეთრი გამთამაშებლის სტივ ნეშისაც უნდა ვთქვათ. ბოლო ორი სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ კიდევ ერთი მძლავრი მატჩი ჩაატარა და სამმაგი არა და მორიგი ორმაგი დუბლი შეასრულა, 18 ქულას 11 პასი მიაბა და „ფინიქსს" მაიამიში დაამარცხებინა იქაური „ჰითი". ძლელ ჩემპიონთა თავკაცმა პატ რაილიმ ბოლოს და ბოლოს ინება და აღიარა ნეშის ძალა — შესაძლოა, ის ლიგის საუკეთესო მოთამაშეაო, ამბობდა ნამარცხევს. თავად რაილის დიდად არ მოსწონს ნეშის ლარი მსუბუქი და ფარფატა მოთამაშეები, ბრგე და ზორბა ბიჭები ურჩევნია. ოღონდ მისი ზორბა ბიჭები ახლა მთლად საუკეთესო ფორმაში ვერ არიან, ვერაფრით ასცდნენ მოგება-წაგებათა 50-პროცენტიან თამასას.

სამაგიეროდ, მათი მძლეველი „ფინიქსი" დაფრინავს, ზედიზედ მე-12 შეხვედრა მოიგო და მიმდინარე სეზონში პირელად მოექცა წყნარი ოკეანის დივიზიონის ცხრილს კენწეროში, საიდანაც „ლეიკერსი" ჩამოაბრძანა. ამ უკანასკნელმა დირკ ნოვიცკის „დალასთან" ბრძოლა გადაიხადა და დამარცხდა, რაც მერე დიდწილად ლამარ ოდომის ტრავმით ახსნა. ნოვიცკიმ კი — მიუხედავად იმისა, რომ თავის გუნდში ქულების მხრივ ტერისა და ჰოვარდის შემდეგ მესამე იყო — სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და ორი პასიც რომ მიემატებინა, სეზონის პირველ სამმაგ დუბლს შეასრულებდა.

**კოტე ყორშია**

# ქართველებმა ერევანში ცხრიანში გაარტყეს

**საქართველოს მოკრივეთა ნაკრები ერევნის საერთაშორისო ტურნირზე გამოვიდა და თბილისში მედლებით დატვირთული დაბრუნდა. დავით ცერცვაძის შეგირდებმა სეზონი ამით მოილიეს და უკვე მომავალი წლისთვის ემზადებიან. პეკინის ოლიმპიადისკენ მიმავალ გზას ერთ თვეში, ქუთაისიდან უნდა შეუყვნენ. საქართველოს ჩემპიონატისა და სალიცენზიო ტრუნირებისთვის სამზადისზე ნაკრების თავკაცი გუშინ გვესაუბრა. იქამდე კი სომხური წარმატება შეაფასა**



— ერევნულ ტურნირზე თორმეტი მოკრივით ჩავედით და აქედან ცხრამ მედლის აღება შეძლო. ჩემი კომენტარის გარეშეც ნათლად ჩანს, რომ გუნდი მშვენივრად გამოვიდა. ბიჭების მზადყოფნით კმაყოფილი დავრჩი.

**— არადა, სომხეთში გამგზავრებამდე შეკრება ჩაგეშალათ...**

— ერთობლივი შეკრება რომ გაგვევლო, დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო უკეთესი შედეგით დავბრუნდებოდით შინ, მაგრამ უკვე ამოწურულმა ბიუჯეტმა ამის საშუალება არ მოგვცა. მოგეხსენებათ, კრივის ფედერაციაში წლეულს ხელმძღვანელობა შეიცვალა. ახალ თავკაცებს ფაქტობრივად ყველა ტურნირის წინ პირადად უწევდათ ფინანსური პრობლემების მოგვარება, რადგან ძველი ბიუჯეტი უკვე გახარჯული იყო. ერევანში წასასვლელი თანხაც ჩვენმა პრეზიდენტმა პეტრე ცისკარიშვილმა მოიძია. მიხარია, ეს ყურადღება სათანადოდ რამ დავაფასეთ.

**— საქართველოს გარდა რომელი ნაკრებები მონაწილეობდნენ?**

— რუსეთი, ჩეხეთი და სომხეთი. რუსებმა მეორე-მესამე ნორმები ჩამოიყვანეს, ჩეხებმა უძლიერესები, ხოლო მასპინძლები ხუთი გუნდით გამოვიდნენ. ასე რომ, საერთო ჯამში საკმაოდ მაღალი დონის ტურნირი გამოვიდა. სამივე სინჯის სამ-სამი მედალი მოვიპოვეთ. ლევან ღვამიჩავა (64 კგ), კახა ჟვანია (69 კგ) და დავით წიკლაური (81კგ) ჩემპიონები გახდნენ, ალექსი ჩეჩელიანმა (48 კგ), ნიკოლოზ იზორიამ (51 კგ) და კობა ფხაკაძემ (57 კგ) ვერცხლის მედლები აიღეს, ზვიად ხადურმა (51 კგ), რევაზ ქარელიშვილმა (75 კგ) და ბექა ლობჟანიძემ (91 კგ) — ბრინჯაოსი.

**— უკვე მთელი სეზონის შეფასებაც შეიძლება. კმაყოფილი დარჩით?**

— მწვრთნელად რომ დავინიშნე, სეზონი უკვე დაწყებული იყო. ფაქტობრივად არარსებული ნაკრები ჩავიბარე და სულ რაღაც სამ თვეში გუნდმა შედეგიც აჩვენა. მერე ევროპის ჩემპიონატი იყო და ისიც მედლით მოვიარეთ. გულახდილად გეტყვით, წლეულს ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გავაკეთეთ.

**— რეალურად რა დონის ნაკრები გვყავს?**

— საკმაოდ ძლიერი. ელემენტარული ხელშეწყობის პირობებში კი დიდი საკრივო ქვეყნების სერიოზული კონკურენტი გავხდებით. რუსმა და აზერბაიჯანელმა მწვრთნელებმა გვითხეს, რომ მათი თითოეული შეგირდი წლის განმავლობაში 40-50 საერთაშორისო შეხვედრას ატარებს. ჩვენი ბიჭებისთვის კი ამაზე ათჯერ ნაკლებიც დიდი ფუფუნებაა. მთავარი, რაც გვაკლია, პრაქტიკაა, თორემ ტექნიკით და ნიჭით არავისზე ნაკლებნი არ ვართ.

**— ევროპის პრიზიორი კონსტანტინე კუპატაძე 64 კილოგრამში აწევას აპირებს, იქ კი ნაკრებს საკმაოდ ძლიერი მოკრივე ლევან ღვამიჩავა ჰყავს...**

— მესმის, რასაც გულისხმობთ. ორივე ძლიერი სპორტსმენია და რომელიმე ნაკრებს მიღმა უნდა დარჩეს... არა უშავს, შიდა კონკურენცია 64 კილოგრამს აუცილებლად დადებითად წაადგება. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომელიმე მოკრივემ წონა ისევ შეიცვალოს.

**— კუპატაძე ერევნულ შემადგენლობაში რატომ ვერ მოხვდა?**

— ავად იყო და ერთად გადავწყვიტეთ, ამ ეტაპზე არ დაგვეტვირთა.

**— მომავალ სეზონს როდის გახსნით?**

— 16-23 იანვარს ქუთაისში საქართველოს ჩემპიონატის ჩატარებას ვგეგმავთ. ამ ტურნირისთვის გურჯაანს უნდა ემასპინძლა, მაგრამ, თუ არ ვცდები, საორგანიზაციო საკითხების მოგვარება ვერ ხერხდება.

**— შიდა ჩემპიონატში ნაკრების ყველა წევრი და კანდიდატი გამოვა?**

— საქართველოს ჩემპიონატს უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ. სწორედ მისი ფინალისტებით უნდა დაკომპლექტდეს ახალი ნაკრები.

**— 2007 წელს პეკინის ოლიმპიადის საგზურების გაცემა იწყება. რამდენ სალიცენზიო ტურნირზე გამოხვალთ?**

— უმთავრესი შეჯიბრი სექტემბერში, მოსკოვში გაიმართება. მსოფლიოს ჩემპიონატზე მერვედფინალში გასულები ავტომატურად მიიღებენ ლიცენზიებს. უფრო გვიან შემოდგომაზე კი კიდევ ორი სალიცენზიო ტურნირი შედგება. იქ უკვე ფინალში გასვლა იქნება აუცილებელი.

**— რამდენი ლიცენზიის აღებას გეგმავთ?**

— სამი-ოთხი ალბათ ნორმალური შედეგი იქნება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



**ტრაბზონი 2011 წლის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს**



# პატარა ოლიმპიელების დიდი ლტოლვანი

**მოგეხსენებათ,** ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ, განურჩევლად იმისა, ზაფხულის ოლიმპიადაზეა საუბარი თუ ზამთრისაზე, ქალაქები დიდი მონდომებით იბრძვიან და ნემსის ყუნწში ძვრებიან. ამგვარი ბრძოლა სულ უფრო და უფრო მძაფრდება იმ ქალაქებს შორისაც, რომლებიც ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობას ლამობენ. მაგალითად, 2011 წლის ფესტივალის მასპინძლობას გენუა, რიგა, ტრაბზონი, უტრეხტი და ჰერნინგი ეცილებოდნენ ერთმანეთს. მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად ბრიუსელში გამართულ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის ასამბლეაზე კენჭისყრის ოთხი ეტაპის გამართვა გახდა საჭირო. საბოლოოდ ყველას ჩვენმა მეზობელმა ტრაბზონმა აჯობა.

ასე რომ, 2011 წელს საქართველოს ახალგაზრდა სპორტსმენებს საფესტივალოდ შორს წასვლა აღარ მოუწევთ. მანამდე, გაისად თებერვალში, მათ ელით 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის სამასპინძლო ბრძოლაში ბორჯომივით ხელმოცარულ ხაკაში (ესპანეთი) ზამთრის ოლიმპიურ ფეტსივალში გამოსვლა, მერე კი ანალოგიურ ზაფხულის თამაშებში მონაწილეობა, რომელიც ბელგრადში გაიმართება.

ამასობაში, როგორც ვიუწყებოდით, უკვე ფიქრობენ 2011 ან 2013 წელს ბორჯომში ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობაზე, რაც ჩვენთვის დიდი პატივი და ამავდროულად დიდი გამოცდა იქნება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# საგაისო ვუელტა მთებით დაიწყება

**„პრო-ტურის“** სერიისა, თუ ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელობიდან მავანნი ესპანური სუპერრბოლის, „ვუელტას“ დამცრობასა და მისი ხანგძლივობის სამი კვირიდან ორ კვირამდე შეკვეცას ცდილობენ, მაგრამ ადრეც ვთქვით — ამ საქმიდან არაფერი გამოუვათ. „ვუელტას“ ორგანიზატორებს სხვა ორი სუპერრბოლის — „ტურ დე ფრანსისა“ და „ჯირო დიტალიას“ თავკაცებიც მხარს უჭერენ და ისეთი პოპულარული ერთდღიანი, თუ მრავალდღიანი რბოლების ხელმძღვანელებიც გვერდში უდგანან, როგორებიცაა „მილანი — სან რემო“, „პარიზი — რუბე“, „ფლეშ ვალონი“ „ლიეჟი — „ბასტონი-ლიეჟი“, „პარიზი — ტური“, „ჯირო ლომბარდია“, „ტირენო — ადრიატიკო“ და „პარიზი — ნიცა“.

ჩამოთვლილი რბოლების თავკაცები ძალიან ბევრ რამეში ეწინაალმდეგებიან „პრო-ტურის“ სერიისა და UCI-ს შეფებს და რამდენიმე დღის წინ რბოლებში გუნდების დაშვების თავიანთი, კავშირისა და „პრო-ტურის“ მოთხოვნებისგან განსხვავებული პროგრამაც წარმოადგინეს.

ამასობაში მომავალი წლის „ვუელტას“ პრეზენტაციაც გაიმართა და ბუნებრივია, ესპანური ველოტური კვლავაც სამკვირიანი და 21 ეტაპიანია.

2007 წლის „ვუელტა ესპანა“ 1 სექტემბერს გალისიაში, კერძოდ კი ვიგოში დაიწყება 145 კილომეტრიანი ეტაპით და საათის ისრის მიმართულებით გააგრძელებს გზას. უკვე მე-4 ეტაპზე პელოტონს ურთულესი გამოცდა ელის ასტურიაში, ლეგენდარულ ლაგოს დე კოვადონგას აღმართში, რომელიც კარგა ხნის შესვენების შემდეგ შეიტანეს „ვუელტას“ პროგრამაში.

„ფანებისთვის მართლაც ბრწყინვალე სანახაობა იქნება ამ ლეგენდარულ მთაზე ჩვენი რბოლის ხილვა — განაცხადა წლევანდელი „ვუელტას“ მეორეადგილოსანმა ალეხანდრო ვალვერდემ — რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია ეგრევე ასეთი სირთულის მთაზე ასვლა, მაგრამ, მეორეს მხრივ, რბოლის დასაწყისში ჩვენ დასვენებულები ვიქნებით“.

რბოლის პროგრამაში ორი ინდივიდუალური რბოლაა. ამათგან პირველი, 49-კილომეტრიანი მე-8 ეტაპზე სარაგოსაშია და ამას ეგრევე მოყვება ორი სამთო ეტაპი აღმართში ფინიშით — კერლერისა და ორდინო-არხალისის მთებზე. მერე პელოტონი სამხრეთში, ანდალუზიაში დაეშვება და ხმელთაშუა ზღვას სანაპიროზე ჩასული ჩრდილოეთით, კასტილიისკენ მოუხვევს. ბოლო კვირაში რამდენიმე სამთო ეტაპია, რომელთაგან უკანასკნელს, კერძოდ კი მე-19 ეტაპს ფინიში ისევ აღმართში, ალტო დე აბანტოსის მთაზე ექნება. ამ ურთულეს ეტაპს ვილალბაში მეორე — 25-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა მოჰყვება, გამარჯვებული გაირკვევა და ბოლო ეტაპზე ველოსიპედისტები მადრიდისკენ აიღებენ გეზს.




AFP

ალეხანდრო ვალვერდე ვუელტა-2007-ის პრეზენტაციაზე

**გია მუჯირი**

# ულეგიონერო ნაკრებმა აზერბაიჯანი მოიარა

**გუშინ** ბაქოდან დაბრუნდნენ საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ნაკრების წევრები, რომლებმაც აზერბაიჯანის დედაქალაქში ოთხი თამაში გამართეს. ჩვენს გუნდში იყვნენ მხოლოდ ის ხელბურთელები, რომლებიც ეროვნულ ჩემპიონატში გამოდიან. შვიდი ლეგიონერი ამ დღეებში ჩამოვა თბილისში და 20 დეკემბრიდან ნაკრები სრული შემადგენლობით შეუდგება ევროპირველობის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მზადებას.

ბაქოში ქართველთა სპარინგ-პარტნიორი იყო აზერბაიჯანის ნაკრები, რომელსაც ასევე აკლდნენ ლეგიონერები. ჩვენი გუნდი მწვრთნელების, ირაკლი კეკელიძისა და ბექა ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით დილაობით ვარჯიშობდა, საღამოს კი თამაშები ჰქონდათ. ერთი ეგ იყო, გეგმები ცოტა აერიათ, რადგან რამდენიმე ხელბურთელი გაცივდა და მთელი ძალით ვერ ითამაშა.

ქართველებმა ოთხი მატჩიდან ერთი მოიგეს, ერთი ფრედ ითამაშეს და ორი წააგეს.

## ევროპის VII ჩემპიონატი

### ქალები. შვედეთი. 7-17 დეკემბერი

euro2006 HANDBALL SWEDEN

### მეორე ჯგუფური ეტაპი

**პირველი ჯგუფი**

ნორვეგია 28:13 მაკედონია
გერმანია 34:22 ავსტრია
უნგრეთი 37:21 პოლონეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 4 | 0 | 0 | 126:80 | 8 |
| უნგრეთი | 3 | 0 | 1 | 136:100 | 6 |
| გერმანია | 3 | 0 | 1 | 120:96 | 6 |
| პოლონეთი | 1 | 0 | 3 | 97:132 | 2 |
| ავსტრია | 1 | 0 | 3 | 97:140 | 2 |
| მაკედონია | 0 | 0 | 4 | 93:121 | 0 |

**მეორე ჯგუფი**

რუსეთი 32:27 დანია
შვედეთი 24:19 ესპანეთი
საფრანგეთი 22:21 ხორვატია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 4 | 0 | 0 | 114:88 | 8 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 2 | 94:94 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 2 | 100:102 | 4 |
| შვედეთი | 2 | 0 | 2 | 86:92 | 4 |
| ხორვატია | 1 | 0 | 3 | 91:98 | 2 |
| დანია | 1 | 0 | 3 | 96:107 | 2 |



# რუსეთმა დანია გამოიჭირა

**მსოფლიოს** ჩემპიონმა რუსეთმა ზედიზედ მეხუთე მატჩის მოგებით ვადამდე მოიპოვა პლეი ოფის საგზური. სლავ ხელბურთელთა მორიგი ლუკმა ოლიმპიური ჩემპიონი დანია გახდა.

მეტოქეები ოციოდე დღის წინ მსოფლიო თასის ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და მთელ დუნიაზე ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელის, ევგენი ტრეფილოვის გოგოებმა მაშინაც იძალეს — 32:28. მათ არც ამჯერად შექმნიათ პრობლემები და თითქმის იმავე ანგარიშით მოიპოვეს წარმატება.

რუსები საწყის შვიდ წუთში „მშრალად“ დაწინაურდნენ — 4:0 და ტაიმიც ამ სხვაობით მოიგეს — 17:13. ბოლო სამი ოლიმპიადის გმირებმა შესვენების შემდეგ ერთხელ მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება — 18:18, მაგრამ მერე ისევ სლავებმა გარეკეს — 26:20 და მშვიდად მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე. შედეგიანობით გამოირჩა მათი „პო“ სამეული — ელენა პოლიონოვა (7), ირინა პოლტორაცკაია (5), ლუდმილა პოსტნოვა (4).

დანიის ნაკრებმა ზედიზედ მეორე მარცხით ევროჩემპიონატის მეოთხედ მოგების შანსი დაკარგა და ამ ჯგუფიდან ნახევარფინალის მეორე საგზურს ალბათ საფრანგეთშვედეთის დაპირისპირებაში გამარჯვებული მიიღებს. იმედი ესპანელ ხელბურთელებსაც რჩებათ, თუ რუსთა ძლევას შეძლებენ.

მსოფლიოს ექსჩემპიონმა ფრანგებმა სამედლო შანსი უმწვავეს ბრძოლაში ხორვატთა მინიმალურსხვაობიანი დამარცხებით შეინარჩუნეს. ექსიუგოსლავიელებმა ტაიმი კი მოიგეს — 10:8, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და საფინალო სასტვენამდე ოთხი წუთით ადრე უკვე ფრანგები იყვნენ ორი ბურთით წინ — 22:20. ხორვატებმა დარჩენილ დროში მხოლოდ ერთი გოლის გატანაღა მოახერხეს.

პირველ ჯგუფში უდანაკარგო ნორვეგიას უნგრეთთან დიდი ომი მოელის, რადგან დასკვნით მატჩში მადიარებს მოგება ჰაერივით სჭირდებათ. გერმანელებს აუტსაიდერ მაკედონიელთა ძლევა არ უნდა გაუჭირდეთ და შედეგად შეიძლება ისე მოხდეს, რომ ნახევარფინალისტები გატანილ-გაშვებული ბურთების სხვაობამ გამოავლინოს.

მეგოლეთა შორის კვლავ გერმანელი ნადინ კრაუზე ლიდერობს — 43. მას ოთხი ბურთით ჩამორჩებიან პოლონელი კაროლინა კუდლაჩი, ავსტრიელი ტანია ლოგვინი და მაკედონიელი მარინა ნაუკოვიჩი.

**გია ახალაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეგულარული ჩემპიონატი

13 დეკემბერი

**ატლანტა 1:2 ანაჰაიმი**

*0:0 0:1 1:1*

0:1 სელიანე (36), 1:1 კაპანენი (52), 1:2 სელიანე (53)

**პიტსბურგი 8:4 ფილადელფია**

*3:2 3:0 2:2*

1:0 ტორბერნი (5), 2:0 კროსბი (6), 2:1 პოტულნი (6), 2:2 ფედორიუკი (10), 3:2 გონჩარი (13), 4:2 მულოუნი (26), 5:2 გონჩარი (28), 6:2 რეკი (30), 6:3 კოლდერი (43), 7:3 უელე (44), 7:4 კნუბლი (45), 8:4 სტაალი (60)

**კოლორადო 4:1 სენტ ლუისი**

*0:1 3:0 1:0*

0:1 მაიერსი (6), 1:1 საკიკი (22), 2:1 შჩასტნი (24), 3:1 ჰეიდუკი (36), 4:1 ტარჟონი (46)

# პატარა სიდი უკვე დიდია



სიდნი კროსბი

**სიდნი კროსბის** უყვარს და დიდებულად გამოსდის „ფილადელფიასთან“ თამაში — ვუნდერკინდმა თავისი პირველი საკარიერო ჰეთ თრიკი სწორედ „მფრინავეთან“ შეასრულა და მათთვის არც სხვა დროს დაუკლია ხელი. მაგრამ ოთხშაბათს კანადელმა ფენომენმა მაინც ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა და პენსილვანიის საჰაერო ესკადრილია ერთბაშად ექვსი ქულით (1+5) დაბომბა.

„ჩვენ დღეს ფანტასტიკური მოთამაშის ფანტასტიკური თამაში ვიხილეთ. ის შეუდარებელი იყო“ — აღფრთოვანებას ვერ მალავდა „პინგვინთა“ თავკაცი მიშელ ტერიენი.

და მართლაც, „პატარა სიდის“ დიდებული თამაშით ფრთაშესხმულმა „პინგვინებმა“ სასტიკად გადაურეს “ფილადელფიას“ და წლეულს ხუთი დაპირისპირებიდან მეხუთეჯერ დასცეს.

კროსბის გარდა თავი „პიტსბურგის“ რუსმა მცველმა სერგეი გონჩარმაც გამოიდო, რომელმაც ორ გოლს სამი შედეგიანი გადაცემაც მიუმატა. სამაგიეროდ, მოულოდნელად პასიური იყო მასპინძლეთა მეორე ტალანტი ევგენი მალკინი, რომელმაც მთელი შეხვედრის მანძილზე მხოლოდ ერთხელ გაისროლა მეტოქის კარისკენ.

კროსბი კი, რომელიც ნჰლ-ში სულ რაღაც მეორე სეზონს თამაშობს, გუშინდელი გმირობის შემდეგ ბომბარდირთა სიას ჩაუდგა სათავეში და მანამდელ ლიდერ იარომირ იაგრს უკვე სამი ქულითაც უსწრებს. თან ისიც გასათვალისწინებელია, რომ კანადელს ტრავმის გამო წლეულს ოთხი მატჩი გაუცდა.

სეზონის ლიდერმა „ანაჰაიმმა“ კი ტრიუმფალურად დაასრულა თავისი ვოიაჟი ატლანტიკის სანაპიროზე — კალიფორნიელებმა მიყოლებით დასცეს „ვაშინგტონი“, „ტამპა“ და „ფლორიდა“ და ეს დიდებული სერია გუშინ „ატლანტასთანაც“ გააგრძელეს.

„იხვები“ წლეულს მართლაც დამთრგუნველად მძლავრად გამოიყურებიან და სუსტი წერტილი თითქმის არა აქვთ — ძველი ფორმა აღიდგინა გოლკიპერმა ჟან-სებასტიან ჟიგერმა, სკოტ ნიდერმაირისა და კრის პრონგერის წინამძღოლობით დაცვა მეტოქეთათვის გაუვალი გახდა, ხოლო შეტევაში კი ვეტერანი ტეემუ სელიანე ძველებურად დიდებულად ირჯება.

გუშინ ამ ყველაფრის მოწმე ჯორჯიელი მაყურებელი გახდა, როცა ჩემპიონატის ლიდერი კლასის ხარჯზე გაუსწორდა არც თუ სუსტ, აღმოსავლეთ კონფერენციის მეორეადგილოსან „ატლანტას“. „ფინური ელვის“ დუბლითა და ძალიან სოლიდური დაცვითი თამაშით „იხვებმა“ ზედიზედ მეხუთე გასვლითი შეხვედრა მოიგეს. სელიანე კი ბომბარდირთა სიაში მესამე ადგილზე დამკვიდრდა.

„ანაჰაიმის“ გასვლაზე თამაში სულაც ცალკე სასაუბრო თემაა — წლეულს „იხვებმა“ მეტოქის მოედანზე ძირითად დროში მხოლოდ ერთხელ წააგეს, სამაგიეროდ 12 მოიგეს და ორჯერ ბულიტებამდე მიიყვანეს საქმე — შედეგად, 15 გასვლით შეხვედრაში 26 ქულა მოიხვეჭეს, რაც ნჰლ-ის ახალი რეკორდია. აქამდე საუკეთესო მაჩვენებლი „დეტროიტს“ ეკუთვნოდა, როცა 1951-52 წლებში „წითელმა ფრთებმა“ პირველ 15 გასვლით შეხვედრაში 25 ქულა მოიპოვეს.

გუშინდელი დღის მესამე შეხვედრაში „კოლორადომ“ ლიგის აუტსაიდერი “სენტ ლუისი“ იოლად დასცა. “ბლუზმენებს“ არც მწვრთნელის გამოცვლამ უშველა — ენდი მიურეიმ წარუმატებლად დაიწყო მისისიპის სანაპიროზე მოღვაწეობა.

**კახა ლომაშვილი**



## მსოფლიოს თასი. მესამე ეტაპი

### ჰოხფილცენი (ავსტრია). 13 – 17 დეკემბერი



მიხაელ გრაისი

### კაცები

**10 კმ. სპრინტი (2 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1 მიხაელ გრაისი (გერმანია) | 25 წთ.03,7 წმ (1 აცდენა) |
| 2 მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი) | +3,5 (1) |
| 3 ბიორნ ფერი (შვედეთი) | +6,1 (0) |
| 4 სერგეი როჟკოვი (რუსეთი) | +14,3 (0) |
| 5 ლარს ბერგერი (ნორვეგია) | +17,5 (2) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1 ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 250 |
| 2 მიხაელ გრაისი (გერმანია) | 230 |
| 3 დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | 192 |
| 4 ფრიდრიხ პინტერი (ავსტრია | 171 |
| 5 ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | 164 |



AFP ობიდოშიდან

# სანტა კლაუსი მანჩესტერიდან

ეს წინასაშობაო ამბავია: კრიშტიანუ რონალდუ პატარა პორტუგალიურ ქალაქ ობიდოშში ჩასულა და საჩუქრები ჩამოურიგებია. ნორჩები ხარობენ და შფოთავენ კიდეც, აბა, ვის რა შეხვდებაო. ობიდოში ლისაბონიდან 70 კილომეტრში მდებარეობს.



AFP დოჰიდან

# კატა

ცხადია ეს კარატეა, აზიური თამაშებიდან. იაპონელი ნაო მეროკა კატას ასრულებს. იაპონიამ ფინალში ვიეტნამი დაამარცხა.



AFP სენტ ლუისიდან

# ბლოკი

ნარის წინ სენტლუისელმა დექსტერ კოუკლიმ ისეთი ბლოკი დაუყენა ჩიკაგოელ ედი ჯონსს, რომ ის ჩიტად აქცია. საბოლოოდ კი მაინც „ჩიკაგომ" მოიგო.



AFP დოჰიდან

# აზიის გოგო

სწორედ ეს ყაზახი გოგო, მარინა აიტოვა შეიქნა მე-15 აზიური თამაშების ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში. აიტოვა 1,93 მეტრს გადაევლო და უკან მოიტოვა ყირგიზი ტატიანა ეფიმენკო და ჩინელი ჟენ შინ იუანი.




AFP ჰონკონგიდან

# მაკა ჰონკონგში

„ლივერპულისა" და „რეალის" ყოფილი ვარსკვლავი, ან მოსუქებული სტივ მაკმანამანი ჰონკონგს ჩასულა კერძო ვიზიტით. ამ ჩასვლის მიზანი ისიც ყოფილა, რომ იქაურ გუნდს, „ჰონკონგ რეინჯერსს" დაუჭიროს მხარი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ზაზა სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge